# სახალხო გაზეთი

№ 959 პარასკევი, 2 აგვისტო 1913 წ. № 959


ტფილის
ეროვნული ბიბლიოთეკა


**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



**სახალხო გაზეთი**

**ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით**

პირველი აგვისტოდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **3 მ. 75 კ.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.


**ნინო ბესარიონის ასული და ივანე ანდრიას ძე ყიფშიძეები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 31 ივლისს, საღამოს 6 საათზე, გარდაცვალებას პირველი—დედისა, მეორე—სიდედრის

**თინათინ** (ქაბატო) იოსების ასულის **ქიტოაშვილისას.**

გამოსვენება საკუთარ სახლიდან, ალექსეევის ქუჩა № 13, დანიშნულია დღეს, 2 აგვისტოს, დილის 9 საათზე, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში. 526

---

**მაკრინე, ოტია გოცირიძის ასული, ამირეჯიბისა, სიმონ და მინა მიხეილის ძენი ამირეჯიბები, ლიდია, იაგორ მდივნის ასული, ამირეჯიბისა, ოლღა, ოტია ჩიქოვანის ასული, ამირაჯიბისა, თინათინ, იოსებ ამირეჯიბის ასული, ერისთავისა და თ-დი ალექსანდრე სპანდიერის ძე ერისთავი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა უდროოდ გარდაცვალებას საყვარელისა და დაუვიწყარის პირველი—შვილისა თვისისა, მეორენი დისა მათისა, მესამენი მულისა, მეოთხე ბიძაშვილისა თვისისა და მეხუთე ცოლის დისა თვისისა პოლკოვნიკის ქვრივის

**მაიანე** მიხეილ ამირეჯიბის ასულის **ჯაფარიძისას,**

უმორჩილესად სთხოვენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რათა პატივი სცენ და დაესწრონ მიცვალებულის ცხედრის გამოსვენებას და დაკრძალვას წმიდა გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე აგვისტოს 2-ს, 1913 წ., დღით პარასკევს, ნაშუადღევის 5 საათზე, სოფელ მესხითში (ქუთაისის მაზრა), განსვენებულის საკუთარ სახლში. 1412

---



**პირველ-ხარისხოვანი**

# დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკების

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

**2 აგვისტოს, 1913 წ. გაიმართება**

დიდი საჯირითო და სავარჯიშო წარმოდგენა ახლად საგასტროლოდ მოწვეულთა და პირველ ხარისხოვან ძალოსნების მონაწილეობით. მოქალაქენო! გამოჩენილი მფრინავნი—ჰაერის მეფეთა **4 ემმაკი** კიდევ მხოლოდ რამდენიმე დღე დარჩებიან და შეასრულებენ დღეს ახალ თავბრუდამსხმელ ოინებს ჰაერში და ბადეში. შეუდარებელი მოჯირითე ქალი **ტამარა** გაანცვიფრებს ხალხს თავისი საცეკვაო ოინებით. ტფილისელთა საყვარელი მასხარები ძმები **ვინჩენცოები** დაუსრულებელ აცინებენ ხალხს. სახელგანთქმული მასხარა ბ. **რობერტსიც** გამოიყვანს თავის ჭკვიან ვირს და მოლაპარაკე ძაღლს ,,ტირასს'' დაწვრილებით პროგრამაში.

**დასაწყისი საღამოს 8 ნახევ. საათზე.**

დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა. 524. გამგე: ლ. მ. ხუნდაძე.

---

# ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.**

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი ბ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს.<br>**ფილოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>**ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12 |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.<br>**სულაქოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1. |
| ბავშვთა სნეულბ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფილოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11.<br>**ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606'' და ,,914'' **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

---

# ავლაბრის ქართულ სახ. წარმოდგენების მმართ. წრის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ **კვირას, 4 აგვისტოს,** დილის 11 საათზე, ავლაბრის სახალხო თეატრში (მურაშკოსეული) დანიშნულია

# წლიური საზოგადო კრება.

**განსახილველია შემდეგი საგნები:**

1. 1912—1913 წ. წ. ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
2. 1913—1914 წ. წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა;
3. არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი წევრებისა;
4. მიღება ახალი წევრებისა.

თუ კრებას კანონიერი რიცხვი წევრებისა არ დაესწრება, გადაიდება შემდეგი დროისათვის. 1411

---

**ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.**

# შპალიერის (ОБОИ) ქარხანა ძმ. ტარნოპოლებისა.

**განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.**

**მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.**

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკო 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

**ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ.** 1137

ოქროს მედალი რიხტერის გამოფენაზე 1910 წ.

3 ოქროს მედალი ვარშავის 1910 წ. გამოფ.

---

# საზურთალოზე

**მშვენიერ ადგილას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

---

# ექიმი ა. შ. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

---

**კბილის**

# ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს **აბასთუმანში.**

---

# ექიმი ვ. მუსხელიშვილი

1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

---

# ექიმი კბილისა და ღრძილებისა ძაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილის 8-დან საღამოს 7 საათამდე. ვაგზლის ქუჩა, № 10. 1388

---

# ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა დ კანის** ავადმყ.; **გასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

---

# ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ვ. ვ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

# წამლობა ,,606''-ით

1035

---

МАГАЗИНЪ М. Л. ТЕРЪ-КАРАПЕТЯНЦА ОБОЕВЪ

**მ. ლ. ტერ-კარაპეტიანცის შპალიერის**

**(პუშკინის ქ., თამამშევ. ქარვასლა).**

მაღაზიაში განუწყვეტლივ ვიღებთ სეზონის ახალ-ახალ საქონელს: **რუსეთის, პოლონეთის და ფინლანდიის** ცნობილ ფაბრიკებიდან. **შპალიერი 8 კ.** დაწყებული და უფრო ძვირი სრული ზომის (11¼ არშ.). **პროვინციელთა** შეკვეთილ საქმეს ვასრულებთ **სწრაფად და რიგზე.** ფანჯრებისათვის გვაქვს მიღებული **ვიტრო-გლასიე.** 1414

---

**ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო**

# მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1023

---

# ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 408

---

# ექიმი კბილისა არჩილ დოლიძე

**დაბრუნდა** საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფ. მიღება ძველ ბინაზე (ნაძალად., ჩერქეზიშ. ქ. № 145). ყოვ.-დღ. 8—2 ს. 4—7 ს. 427

---

# ტფილისი, 2 აგვისტო

**ომი და ზავი.**

ბალკანეთის საშინელებას თითქოს ბოლო მოეღო. მეომარ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა რუმინიის სატახტო ქალაქ ბუქარესტში ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას. გუშინდელი მოკავშირენი, დღეს დაუნდობარ მოქიშპედ და მტრად გადაქცეულნი, იძულებული გახდნენ უაზროდ სისხლის ძღვრელი ძახვილი ქარქაშში ჩაეგოთ. მყუდროებას მოწყურებული ევროპა ძოჰ-ღალა ერთი წლის განუწყვეტელმა ვაი-უშველებელმა; მას ეჩქარებოდა უმიზნო ომის ლიკვიდაცია. და აი, თითქოს ამ სურვილის განსახორციელებლად ხმა აღიმაღლა რუმინიამ, რომელიც მანამდე ჩასაფრებულივით უთვალთვალებდა მოკავშირეთა ოლქედებას, და სწორედ იმ დროს, როდესაც ქ. კუსტენდილის ახლოს უნდა დატრიალებულიყო საშინელი და გაუგონარი ელეტა პირისპირ დამდგარ მტერთა შორის, თვით აღმართა იარაღი და მით დასასრული დაუდო ომს. ახლა დადგა დრო დანაკლისისა და ჭრილობათა გამორკვევისა. მართალია, ომით არაოდეს და არავის არაფერი მოუგია, მაგრამ ცხადის-უცხადესია, რომ ბალკანეთის მეორე ომში ბულგარეთის გარდა ყველა მონაწილე მოგებული დარჩა. ეგრეწოდებულ წონასწორობის დაცვის გულისთვის მეზობლებმა თითქმის მიწასთან გაასწორეს ის ბულგარეთი, რომელმაც ყველაზე მეტად თვისი კისრით ზიდა თურქ-მოკავშირეთა შორის ამტყდარი ომის სიმძიმე. ვის შეუძლიან იმის გამოკვლევა, თუ ვინ იყო მიზეზი ძმათა შორის სისხლის ღვრისა, ან რომელს უფრო ამოქმედებდა პირადი, ეგოისტური ჟინის დაკმაყოფილება? ასეთს მდგომარეობაში, რასაკვირველია, ყველა მართალია და თითოეულიც მტყუიანი, მაგრამ ზავის პირობებიდან ნათლად ირკვევა, რომ სერბიასა და საბერძნეთს ბულგარეთზე არა ნაკლებ ამოძრავებდა მდაბალი, მსუნაგური პოლიტიკა. ბუქარესტის ხელშეკრულების ძალით, ბულგარეთმა სრულიად დაჰკარგა მაკედონია. სერბიამ ხელი აალებინა თავის გუშინდელ მოძმეს ისეთ ადგილებზედაც კი, როგორიცაა, მაგ., ქალაქები: კოჩანა, პრილეპი, მონასტირი და მისი მიდამოები, სადაც თითქმის მხოლოდ ბულგარელები სახლობენ. საბერძნეთი კიდევ უფრო ულმობელი გამოდგა: სამხრეთ მაკედონიის საუკეთესო ადგილები და მათ შორის ქალაქები: სალონიკი, სერესი, დრამა, დოირანი და ეგეის ზღვის საუკეთესო ნავთსადგური კავალა ბუქარესტის კონფერენციამ გამარჯვებულ ელინებს მიართვა ძღვნად. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. აბა რას ნიშნავს მაკედონია იმ დანაკლისთან შედარებით, რომელიც უბედურ ბულგარეთს მოუვიდა ჩრდილოეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით. ომის გამოუცხადებლად ბულგარეთის მიწა-წყალზე შემოჭრიმა რუმინიის მხედრობამ, იმავე წონასწორობის აღდგენის მიზნით, საუკეთესო და მჭიდროდ დასახლებული კუთხე—დობრუჯა—ჩამოსთალა ბულგარეთს. უცხოეთის გაზეთების ცნობით, რუმინიის მიერ წართმეული ტერიტორია 15.000 ოთხკუთხედ ვერსს უდრის 200.000 მცხოვრებით. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. მკითხველს ეცოდინება, რომ წელმოწყვეტილმა ოსმალეთმა ისარგებლა მოკავშირეთა ერთმანეთზე გადაკიდებით და სრულიად უომრად ხელახლად შეიერთა დაკარგული ფრაკია. ენვერ-ბეის მოწინავე ჯარი დღეს კირკილისეს ცნობილ ციხეში სდგას, იქ, სადაც ასე ისახელა თავი შარშან შემოდგომაზე ბულგარეთის „ნაპოლეონმა" რადკო დიმიტრიევმა. სამაგიეროს გადახდის სურვილით გახელებული თურქთა ლაშქარი ბულგარეთის ძველ ტერიტორიაზედაც კი გადავიდა და აიკლო მშვიდობიანი სოფლები. ამრიგად, განდიდების მაგიერ, ბულგარეთს სამარცხვინო და სატირალი დამცირება ხვდა წილად. ზავი შეიკრა, მაგრამ სრული მშვიდობიანობა ჯერ კიდევ ძლიერ შორსაა. დიდი სახელმწიფოები საბოლოო დადგენილებად არა სთვლიან ბუქარესტის სამშვიდობო ხელშეკრულებას; ავსტრია და რუსეთი ვერ შერიგებიან ბულგარეთის ასეთ დამცირებას და მოითხოვენ საზავო პირობების გადასინჯვას. პირველი იმით ხელმძვანელობს, რომ სერბია ბულგარეთის ზურგზე დიდად არ გაძლიერდეს, რადგან „დიდი სერბია" არაოდეს არ იქნება ავსტრიის კარგი მეზობელი; რუსეთის თვალსაზრისი კი ყველასათვის ნათელია: იგი მუდამს ცდილობდა და სცდილობს დღესაც სამხრეთის სლავიანების პატრონობას. გადასინჯვას მოითხოვენ განსაკუთრებით ნავთსადგურ კავალას საკითხი. სალონიკის გარდა ეგეის ზღვაზე მეორე აღარ მოიპოვება ისეთი ღირსების ნავთსადგური, როგორიც კავალაა. სწორედ ამ პუნქტით უნდა ამოძრავებულიყო მომავალი ბულგარეთის საგარეო ვაჭრობა. რუსეთი და ავსტრია მოითხოვენ, რომ ეს ნავთსადგური ბულგარეთს დაეთმოს. ამ მოთხოვნას მხარს უჭერს იტალიაც, რადგან მას, ისე როგორც ავსტრიას „დიდი სერბია", სრულიადაც არ ეპიტნავება ეგეის ზღვაზე დიდად გაძლიერებული საბერძნეთი. საქმეს კიდევ ის გარემოებაც ართულებს, რომ მოკავშირე საფრანგეთი არ იზიარებს რუსეთის თვალსაზრისს. რესპუბლიკისთვის ძლიერი საბერძნეთი ერთგვარი საფარი იქნება იტალიის საზღვაო მეტოქეობის წინააღმდეგ. თუ ასეთი მცირე საკითხი ამგვარ რთულ უთანხმოებას იწვევს დიდ სახელმწიფოთა შორის, რაღა იქნება ადრიანოპოლის ბედის გადაწყვეტის დროს. მართალია, ევროპის კონცერტის მონაწილეებმა სათითაოდ წინადადება მისცეს ბრწყინვალე პორტას, დასტოვე ფრაკიაო. მაგრამ „ახალგაზრდა ოსმალთა" მთავრობა ყურსაც არ იბერტყს, რადგან იმედი აქვს სახელმწიფოთა ქიშპობისა და უთანხმოებისა. ასეა, თუ ისე—ოსმალეთი ბოლოს და ბოლოს მაინც იძულებული გახდება იმ საზღვრებში მოთავსდეს, რომელიც ლონდონის კონფერენციამ დაუდო მას, რადგან დამცირებულ ბულგარეთის ფეხზე წამოყენება სხვა გზით არ შეიძლება, თუ არ ფრაკიის მიკუთვნებით, მაგრამ ეს კიდევ ვერ სწყვეტს საბოლოოდ ბალკანეთის არევ-დარევის საკითხს. ვინც ბულგარეთის მეფის მანიფესტი წაიკითხა შესახებ ზავის შეკვრისა, მისთვის ცხადია, რომ ბუქარესტის ნაკარნახევი ხელშეკრულება მშვიდობიანობას კი არა, მომავალში უარეს საშინელებას უქადის ბალკანეთის მრავალტანჯულ ერებს. „დაბრუნდით შინ—მიმართავს მეფე ფერდინანდ თავის ჯარს—უამბეთ თქვენს შვილებსა და შვილი-შვილებს გმირობა ბულგარეთის მეომრებისა, რომელთაგან დაწყებული დიადი საქმე მათგან (შვილთა და შვილი-შვილთაგან) ქლის ჯეროვნად დაგვირგვინებას".

# ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ ამ მოკლე ხანში ტფილისს ესტუმრება **გერმანელ მეურნეთა ჯგუფი,** რომელსაც აზრად აქვს შეისწავლოს სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა ჩვენში.

✦ **გამოფენა.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ წინადადება მიიღო, ექსპონატები გაჰგზავნოს თესლეულის გამოფენაზე, რომელიც გაიმართება კიევში 1 სექტემბერს.

✦ **ალექსანდრეს საავადმყოფოს** მოსაწყობად ქალაქის გამგეობამ დამატებით გადასდო 1.050 მან.

✦ **შილევისეული სახლი** დაანგრიონ თუ არა, ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა მინდობილი აქვს მეფის მოადგილის სატეხნიკო სათათბიროს. ქალაქის გამგეობამ დ „კრუჟოკ"-ის მამასახლისთა საბჭომ შუამდგომლობა აღძრეს, რათა საკითხის გადაწყვეტა სატეხნიკო სათათბირომ დააჩქაროს.

✦ **ქართული ორ-კაპეიკიანი გაზეთი „ახალი აზრი"** რომელიც ამ რამდენისამე კვირის წინად გამოვიდა, აგერ მესამე დღეა შეჩერდა.

✦ **ქართველ მეცნიერის და ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის ქვრივი,** რომელიც ამ ჟამად ღრმა მოხუცებაშია, ახლა სცხოვრობს დუშეთში, თვის ქმრის მამულში. ქ-ნი იოსელიანისა იმ ჟამად მძიმედ ავად არის. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ქ-ნს იოსელიანს უკვე შედგენილი აქვს ანდერძი, რომლითაც მთელს ქონებას, მათ შორის განსვენებული ქმრის ძვირფას ბიბლიოთეკას, სხვა და სხვა ქართულ საზოგადო და საქველმოქმედო დაწესებულებას უტოვებს.

✦ ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ცნობილი **ფრანგი მწერილი** შოპფერი, რომელმაც გუშინ ქალაქის სასალახო დაათვალიერა ქალაქის მოურავის მოადგილის თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა და გამგეობის წევრთა მონაწილეობით.

✦ როგორც ვწერდით, თ-დმა პ. ი. თუმანიშვილმა ქალაქის თვითმმართველობას **კ. ი. ზუბალაშვილისა და ს. კ. ზუბალაშვილის სურათები** შესწირა, გუშინ ქალაქის გამგეობამ დაადგინა: კ. ი. ზუბალაშვილის სურათი სახალხო სახლში ჩამოჰკიდოს, ს. კ. ზუბალაშვილისა—საბავშო საავადმყოფოში და მადლობა გადაუხადოს თ-დ პ. ი. თუმანიშვილს შეწირულებისათვის.

✦ „ახალი კლუბის" მამასახლისთა საბჭომ, შაბათს, 3 აგვისტოს კონცერტში მიიწვია **მომღერალი ლევან ჩუბინიშვილი.**

✦ **საბირჟო ცნობები.** 1 აგვისტოს, ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. **პროცენტიან ქაღალდების** ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—85 მან., აძ-

ლევდნენ—84 მან. 45 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—83 მან. 25 კ., აძლევდნენ—82 მან. 40 კ. დ ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—80 მან. 75 კ., აძლევდნენ—79 მან. 80 კ. სახელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ სესხის ბილეთებისა—482 მან., მეორისა—352 მან. და მესამისა—315 მან.

✦ **ცხოველთა საავადმყოფოსთვის** საბეითლო საზოგადოებამ უკვე დაიქირავა შენობა ნიკოლოოზის ქუჩაზე № 68. საავადმყოფო გაიხსნება ამ დღეებში.

✦ ქალაქის გამგეობის მდივანი ს. ა. დანდუროვი დასასვენებლად წავიდა. მის თანამდებობის აღსრულება დაეკისრა ქ-ნ ლ. ო. ლეინარ-პეტროსიანს.

## სასწავლებლებში

✦ **დედათა პირველ გიმნაზიაში** განმეორებითი გამოცდა მოხდება 21, 22 და 23 აგვისტოს; მისაღები გამოცდა მოსამზადებელსა და პირველ და მეორე კლასში—24 და 26 აგვისტოს. საახბანო განყოფილებაში მიიღებენ 27 აგვისტოს. თხოვნები სასწავლებელში შესვლის მსურველებმა 20 აგვისტომდე უნდა წარადგინონ.

✦ **ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში**, შესვლის მსურველებმა თხოვნები უნდა წარადგინონ 15 აგვისტომდე. პირველ კლასში მიიღებენ 30 კაცს კონკურსით.

## რკინის გზებზე

✦ **ნავთლუღის სადგურს რკინის** გზის სრული სადგურის უფლება მიანიჭეს.

## გორი.

✦ პარასკევს, 2 აგვისტოს, კლუბის საზაფხულო დარბაზში სახ. უნივერსიტეტი ჰმართავს ლექციას წარმოდგენით. ლექციას ქართულად წაიკითხავს ნაფ. ვექ. თანაშ. დ. ოხიაშვილი შემდეგ თემაზე: „ნ. ბარათაშვილი და მისი პოეზია“. ლექციის შემდეგ წარმოადგენენ აზიანის „გაცრუებულ იმედებს“. ფასები სახალხოა.

✦ ხუთშაბათს, 25 ივლისს, ღამის ცხრა საათზე უცებ ასტყდა ზარის რეკა, რამაც ხალხში დიდი აურზაური გამოიწვია. მთელი ქალაქი ფეხზე დადგა. ყველა ზევით გარბოდა და „ცეცხლი, ცეცხლი“-ო ჰყვიროდა; ნამდვილი ამბავი კი არავინ იცოდა. გამოირკვა, რომ ჯავის ხეობიდან ტფილისისკენ **გორის ეპისკოპოზს ყოვლადსამღვდელო ანტონის** გამოუვლია და ზარებს იმიტომა რეკდნენ.

✦ აგერ ორი თვე იქნება ამშვენიერებენ შიგნიდან თუ გარედან **ქართველ კათოლიკეთა ეკლესიას.** მთელი ხარჯი იკისრეს ცნობილმა ქველმოქმედებმა ძმ. ზუბალაშვილებმა. ეკლესია დროებით გვერდის შენობაში მოთავსებული.

✦ ვ. ვარძელაშვილს შეუძენია ხელით ნაწერი **„ვეფხის ტყაოსანი“.** გადამწერს დაუწყია გადაწერა 1862 წ. 16 თებერვალს და დაუმთავრებია 1863 წ. პირველ დეკემბერს. წიგნი ყდაშია ჩასმული, შეიცავს 360 გვ. მოზრდილი ტანისაა და მშვენიერი, მხედრული ხელითაა ნაწერი.

**შეცდომის გასწორება.**

„სახ. გაზ.“ № 954-ში მოთავსებულ, ირ. ევდოშვილის სასარგებლოდ ჰორელ შემომწირველთა სიაში შეცდომაა შეპარული. სწერია: **ი. ფურცელაძე** 1 მ. უნდა იყვეს: **ი. ფურცელაძე** 50 კ.

ამას გარდა სიიდან სრულიად გამოტოვებულია მ. **რაზიკაშვილი,** რომელმაც შემოსწირა 50 კ.

ქართულ-სასოფ. სამეურნეო კურსების მსმენელთა ლილოს ექსკურსიის ანგარიში შეცდომით გვქონდა ნათქვამი, რომ „ლექტორები და მსმენელნი ექსკურსანტები თავ. ვაჩნაძის სახლში მიიწვიესო.

ნამდვილად კი ექსკურსანტები მიწვეულნი იყვნენ მ. ვ. მაჩაბლის სახლში.

# ჟურნალისტის დღიური

139.

**ავგუსტ ბებელი.**

დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ გარდაცვლილა გერმანიის პარლამენტის წევრი, ცნობილი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე ავგუსტ ბებელი. ბებელი ერთი იმ იშვიათი ადამიანთაგანი იყო, რომელიც მუდამ დარაჯად უდგა მუშათა კლასის ინტერესებს და როგორც პრაქტიკულ მოღვაწეობით, ისე სამეცნიერო შრომებით მუდამ აფხიზლებდა საზოგადოებრივ ცხოვრებას. ბებელი თავისი რწმენით მარქსისტი იყო და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთი თვალსაჩინო წევრთაგანი. მას ქართველი მკითხველი საზოგადოებაც იცნობს. მოძრაობის დროს ბევრი იმისი ნაწერი გადმოითარგმნა ქართულად; გადმოითარგმნა მისი დიდი გამოკვლევაც დედა-კაცის შესახებ. როგორი აზრისაც უნდა ვიყოთ მარქსიზმის თეორეტიულ მოძღვრების შესახებ, მაინც არ შეგვიძლიან გვერდზე გავუაროთ ისეთს მოვლენას, როგორიც არის გერმანის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ლიდერის სიკვდილი. მთელი მისი პრაქტიკული მოღვაწეობა მიმართული იყო მუშათა კლასის ინტერესების დაცვისკენ არც ერთხელ არ გადაუხვევია ამ გზიდან. პირდაპირ და ახალ-გაზდური გატაცებით მიდიოდა ერთხელ შეყვარებული ეკლიანი გზით, მიდიოდა და თან მიჰყავდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომოლსაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მუშათა მოძრაობა მთელს დედამიწის ზურგზე ძლიერდება და ამასთანავე ერთად რთულდება. მრავალნაირ სახეს იღებს იგი. გამჭრიახი გონების ადამიანი უნდა იყოს მოღვაწე, რომ გართულებულ მუშათა ინტერესებს თავის დროზე აუღოს ალღო და შესაფერი მალამო დასდოს. ასეთი ხელმძღვანელობა მოითხოვს არა მარტო მყვირალა ფრაზეოლოგიას, არამედ დიდს დაკვირვებას და ამასთანავე ერთად მტკიცე, გაუტეხელ ხასიათს. ასეთი იყო ავგუსტ ბებელი მოხუცებულობამდე.

შეიძლება იმისი მოძღვრება არ გაიზიარო, მაგრამ ამ ენერგიულ, დაუღალავ შრომის წინ კი დუმილით ვერ გაივლი. იგი შრომა შეიქმნა ღრმა რწმენისა, სპეტაკი გრძნობისა და ახალგაზდური თავდადებისა. ასეთ პიროვნებათა დაკარგვა ყოველთვის გულ-წრფელ მწუხარებას გამოიწვევს ყოველს შეგნებულ ადამიანში. **შინაური.**

# ადონელას

მივალთ, მივალთ უცხო ტყეში,
ეკალია ლურჯა ტევრში;
ნელა, ნელა,
ადონელა,
ფთხილათ, წვეტი არ შეგახოს,
გაკაწრული არა გნახოს,
ადონელა,
თმა-შაველა...
—
ღამე, ღამე ლურჯი ნისლით
დაგვწოლია თავს სიმძიმით;
ნელა, ნელა,
ადონელა,
არ შეგიკრთეს ლურჯი თვალი,
არ გადეკრას ბინდი მთვრალი,
ადონელა,
თმა-შაველა...
—
სიო, სიო ფოთოლს არხევს,
შენი ტანიც კრთის, ცახცახებს;
ნელა, ნელა,
ადონელა,
არ აიმღვრეს, როს მიცქერი,
შენი ტანის თეთრი ჩქერი,
ადონელა,
თმა-შაველა...
—
ტოტი, ტოტი სვლასა გიშლის,
გკოცნის რხევით, თმასაც გიშლის;
ნელა, ნელა,
ადონელა,
ფთხილათ, წვეტი არ მოაცოს,
ერთი ბეწვიც არ მოგტაცოს,
ადონელა,
თმა-შაველა....
—
მივალთ, მივალთ შავ ღამეში,
უფსკრულია მის უბეში;
ნელა, ხელა,
ადონელა,
საცა არის, მზეც ამოვა,
მაშინ ჩვენთან ლხენაც მოვა,
ადონელა,
თმა-შაველა ..

**გრიგოლ რობაქიძე.**

ბორჯომი,
1913 წ. ივლისის 25.

# ✝ ფერდინანდ-ავგუსტ ბებელი

## დეპეშა

**ბერლინი.** ციურიხში გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადი და რეიხსტაგის წევრი **ბებელი.** მის გვამს ციურიხში დასწვამენ.

**(ნეკროლოგი)**

აწ განსვენებული ავგუსტ ბებელი გერმანიის სოციალ-დემოკრატების ერთი მთავარ ბელადთაგანი იყო. იგი დაიბადა გერმანიაში, ქ. კელნში, 1840 წლის 23 თებერვალს. პირველდაწყებითი სწავლა-განათლება სოფლის სკოლაში მიიღო, შემდეგ სამოქალაქო სასწავლებელი დაამთავრა და სახარატო ხელობის შესწავლას შეუდგა. 1862 წლიდან ბებელი მხურვალე მონაწილეობას იღებს ლასალის მიერ გამოწვეულ მუშათა მოძრაობაში. ბებელი ამ მოძრაობამ ძლიერ გაიტაცა და 1865 წლიდან „მუშების განმანათლებელ ლეიპციგის კავშირის“ პრეზიდენტად აირჩიეს. მასთან ერთად ბებელი მუდმივი წევრი იყო გერმანელ მუშათა კავშირის კომიტეტისა და დიდი გავლენაც ჰქონდა მაზე. საქსონიის სამეფოს მეჩვიდმეტე საარჩევნო ოლქმა იგი თავის წარმომადგენლად გაგზავნა, პირველად ჩრდილო გერმანიისა და შემდეგ კი პირველ საერთო გერმანიის რეიხსტაგში. აქ, ისე როგორც პრესაში, ბებელმა დიდი უნარი გამოიჩინა, როგორც თვისი პარტიის ერთმა საუკეთესო ლიდერმა. ამ პარტიას ლასალის მიერ დაარსებულ პარტიისაგან გასარჩევად „ეიზენახის მუშათა პარტიას“ უწოდებდნენ, იგი უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული კარლ მარქსის მიერ ლონდონში შექმნილ მუშათა საერთაშორისო კავშირთან. 1782 წ. ბებელი მის მეგობარ ლიბკნეხტთან ერთად გაასამართლეს, როგორც სახელმწიფო შეთქმულობის მომწყობი; ლეიპციგში ნაფიც მსაჯულთა განაჩენით მას ორის წლის ციხე მიუსაჯა, იმპერატორის სახელის შეურაცყოფისათვის კი ცხრა თვის საპყრობილე. ამავე დროს მას დეპუტატის რწმუნებულება ჩამოერთვა; მაგრამ ახალ არჩევნების დროს, 1873 წელს იანვარში, დიდის უმრავლესობით იგი კვლავ აირჩიეს დეპუტატად. 1877 წელს იგი ორ ადგილას აირჩიეს, მაგრამ მან რწმუნებულობა დრეზდენიდან მიიღო და 1878 წლამდე შეინარჩუნა, მიუხედავად იმისა, რომ გედელისა და ნობელინგის გალაშქრების გამო სოციალ-დემოკრატიზმის მდგომარეობა იმ დროს ძლიერ ცუდი შეიქნა. 1881 წლის არჩევნების დროს მან ოთხჯერ დაიდგა ყური, მაგრამ დამარცხდა და მხოლოდ 1883 წელს კვლავ გაიმარჯვა. 1886 წლის აგვისტოში ფრეიბერგის ნაფიც მსაჯულების განაჩენით, სხვა მეთაურთან ერთად, მას მიუსაჯა ცხრა თვის ციხე ფარულ კავშირში მონაწილეობისათვის. ციხეში ჯდომის დროს 1887 წელს მოხდა ახალი არჩევნები; ბებელი რეიხსტაგის წევრად კვლავ აირჩიეს. ამავე წლის ოქტომბერში მან დიდი მონაწილეობა მიიღო შენევეგენში მომხდარ გერმანელ სოციალ-დემოკრატების კრებაში, ამის წინად კი ვიდენისა და კოპენჰაგენის კონგრესში. 1910 წლის 23 თებერვალს გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ დიდის ამბით იდღესასწაულა ბებელს 70 წლის შესრულების იუბილე. შარშან კი მისი 50 წლის მოღვაწეობის დღესასწაული გადაიხადეს. იგი გარდაიცვალა 73 წლისა.

# პროექტი ხიზანთა ინსტიტუტის გაუქმებისა

კავკასიის ხამსტნიკმა მინისტრთა საბჭოში წარადგინა გეგმა კანონისა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ხიზანთა დამოკიდებულების შესახებ. ამ საკანონმდებლო მოსაზრებით განზრახულია ამიერ-კავკასიაში მემამულეთა და ევრეწოდებულ ხიზანთა შორის თავისებურ მიწადმფლობელობის დამოკიდებულობის ლიკვიდაცია. ეს დამოკიდებულება ჩვენს კანონმდებლობაში არა ჩვეულებრივს, მემამულის ადგილთა უვადო მფლობელობას წარმოადგენს. ახალ გეგმაში ხიზანთა დამოკიდებულობის მოსპობასთან ერთად აღნუსხულია: ხიზნების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება მთავრობის დახმარებით, და მემამულეთა იმ მიწების გამოსყიდვა ხიზნების საკუთრებად, რომელიც უკანასკნელთ უვადო იჯარით აქვთ აღებული.

კანონ-პროექტის წინასწარ განსახილველად მოწვეული იყო საუწყებათაშორისო თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: შინაგან საქმეთა, საფინანსო და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებმა და აგრეთვე მიწადმომწყობ და მიწადმოქმედების მთავარ-გამგეობისა და სახელმწიფო კონტროლისა, სახელმწიფო კანცელიარიისა და ნამესტნიკის კანცელარიის წარმომადგენლებმა

ამ თათბირმა ყოველმხრივ განიხილა გრაფის ვორონცოვ-დაშკოვის მოსაზრებანი და ერთხმად მოიწონა. კანონ-პროექტის უმთავრესი დებულებანი სრულიად თანაბარია იმ წესრიგისა, რომელიც რუსეთის კანონმდებლობით მიღებულია სახელმწიფოს სხვა აზგილებში უვადო იჯრის მოსპობის დროს, როგორც, მაგალითად: სოფლების საუკუნო „ჩინშევიკებისა“ (მოიჯარადენი), ეგრეწოდებულ თავისუფალ ხალხისა, დასავლეთ გუბერნიების სტროგიადცებისა და სხვა. ამასთან საუწყებათაშორისო თათბირმა სცნო, რომ გამოსყიდულ მიწების ფასი დადგენილი უნდა იყოს არა იმ გადასახადის კვალად, რომელსაც მთავრობა ახდევინებს მამულის შემოსავლის მიხედვით როგორც ნაჩვენებია ნამესტნიკის მიერ წარმოდგენილ გეგმაში, არამედ 1912 წ. 20 დეკემბრის კანონის მიხედვით, ამიერ კავკასიის ხუთ გუბერნიაში დროებით ვალდებულობას და დამოკიდებულებას ურთიერთობის მოსპობის შესახებ. ეს კანონი კი მიწებს აფასებს თვით გამოსასყიდ მიწების ღირებულობის მიხედვით მხოლოდ ეს ღირებულება გაორკეცებულ უნდა იყოს იმ ფასის წინაღმოეგ, რომელიც დადგენილი იყო დროებით ვალდებულად ნამყოფ გლეხების მიწების გამოსყიდვის დროს. შეფასების გაორკეცება იმიტომ მოხდა, რომ დროებით ვალდებულ გლეხების მამულების გამოსყიდვის დროს ფასები დადგენილი იყო წარსულ საუკუნის სამოციან წლების ღირებულების მიხედვით ე. ი. ბატონ-ყმობის მოსპობის და მისგან გამომდინარე დამოკიდებულების დროს. ამ დროს კი ხიზნების დამოკიდებულება, რომელიც უკანასკნელ ხანებამდე განაგრძობდა არსებობას, ცხადია უნდა განირჩეს იმ მიწების ამ ჟამად ღირებულობის მიხედვით, რომელიც ხიზნებს უჭირავთ, წარსულ საუკუნის სამოციან წლების ღირებულების დაახლოვებით ორჯერ მეტად, რადგანაც ხიზნების საიჯარო მიწები იმ მიწების გვერდითაა, რომელიც ამავე მემამულეთა დროებით ვალდებულ გლეხებს მიეკუთვნათ. თათბირმა საუკეთესოდ სცნო გლეხების მიწების შესაფასებლად ისეთივე ნორმები მიიღოს,—თვისებისა და ღირსების მიხედვით,—როგორიც დროებით ვალდებულ გლეხების სანადელო მიწების გამოსყიდვისათვის არის დაწესებული 1912 წლ. 20 დეკემბრის კანონით, მხოლოდ ზემოაღნიშნულ საფუძვლის მიხედვით ეს ნორმები გაორკეცებულ უნდა იყოს.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა ამ კანონ-პროექტის შესახებ ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობის აზრი წარადგინა.

ამ განმარტებათა შესახებ ნამესტნიკის მოადგილემ ბ. ნიკოლსკიმ განაცხადა, რომ ხიზანთა დამოკიდებულების ლიკვიდაციის შესახებ, როგორც დასაბუთებისა, ისე საბოლოო სურვილების მხრივ, თავად-აზნაურთა მოსაზრებანი სრულიად ისეთივეა, რომელიც ამავე საკითხის შესახებ მათ წინადაც გამოსთქვეს. ეს მოსაზრებანი კი ამ კანონ-პროექტის განხილვის დროს ნამესტნიკის საბჭოში იყო განხილული და უარყოფილი, შემდეგ კი ხიზანთა საკითხის განსახილველ სხვა მასალასთან და მოსაზრებასთან ერთად ნამესტნიკმა

# იმერეთის კულტურა

(სტატისტიკური ნაკვლევი)

IX*)

ქარხნებისა და მრეწველობის მხრივ იმერეთი მეტად ღარიბია. ჯერ მთელი ჩვენი მთების, წყლების, ტყეების და მიწა-ადგილების სიმდიდრე სრულიად ხელუხლებელია.

აქა-იქ სამთამადნო მრეწველობა მეტად საქმიანობს. დოვლათს ვიღებთ, მაგრამ მას კი ვერ ვამუშავებთ აქვე, არამედ ჩვენი სიმდიდრე სხვა ქვეყნებში გააქვთ და იქ ამუშავებენ. ჭიათურაში, სადაც მარგანეცის ამოღება მილიონობით სწარმოებს მის გადასამუშავებლად 1909 წელს 4 ქარხანა არსებობდა, რომელშიაც სულ 168 კაცი მუშაობდა, რომელთაც სულ დაუმუშავებიათ 130-ათასი მანეთის საქონელი. კომენტარიები არაა საჭირო, თუ რა მცირე ძალის ქარხნები ყოფილა ჭიათურის ეს ქარხნები. მაგრამ უკეთესი მდგომარეობა არც სხვაგანაა. ქალ. ქუთაისში ყველაზე მსხვილი ქარხანა თამბაქოსია, რომელშიაც 33 კაცი მუშაობს, სადაც ჰქმნიან 60-ათასი მანეთის საქონელს, შემდეგ საკირე, მინერალურ წყლების, ბამბის საწმენდი, შამპანიური ღვინისა და საპნისა. მთელს ქალაქში ისეთი საწარმოო დაწესებულება არაა, სადაც 50 კაცი ერთად მუშაობდეს, ან ასი ათასი მანეთის საბაზრო ნივთებს ჰქმნიდეს. ფოთში ხე-ტყის ქარხნები ექვსია და ამ ექვს ქარხანაში სულ მუშაობდა 1909 წელს 63 კაცი, რომელთაც შეუქმნიათ 29 ათას მანეთის საქონელი. შემდეგ უნდა აღინუსხოს ლიმონათის ქარხნები—ოთხი და ერთიც სანთლისა. მთელი ფოთის ქარხნებში კი სულ 74 კაცი მუშაობდა.

როცა ასეთი სურათი გვეშლება ქალაქებიდან, რაღა უნდა ვსთქვათ სოფლებზე. საგუბერნიო სტატისტიკურ კომიტეტის ცნობით ყველაზე მეტი ქარხანა ქვემო იმერეთში და გურიაშია. ქვემო იმერეთში—ქუთაისის მაზრაში სულ ყოფილა 476 ქარხანა, გურიაში კი 374. როგორც იმერლებს, ისე გურულებს მეტად გაუკვირდება ასეთი სიმრავლე ქარხნებისა. უცხოელი იტყვის: ეს ხალხი ერთიანად მრეწველობის ხალხი ყოფილაო, მაგრამ რომ ავხსნათ საქმის გარემოება, მაშინ მეტად გაგვეცინება, ვინმე გაგვიკვირდეს. საქმე ისაა, რომ მთავრობის სტატისტიკოსის მიერ ქარხნებად ჩათვლილია მაგალ. წისქვილები. მარტო გურიაში 293 წისქვილია, ქვემო იმერეთში 435, მაგრამ ამ წისქვილების ქარხნად ჩათვლა ყოვლად შეუძლებელია. ქარხანა ისეთი დაწესებულებაა, რომელიც რაიმე საქონელს ჰქმნის საბაზროდ გასასყიდათ, ნაქირავებ ძალის საშუალებით. გურიის წისქვილ-ქარხნებში, 293-წისქვილში წლის განმავლობაში 210 კაცი მუშაობდა, ასე რომ ერთ ქარხანაზე ერთი მუშა-კაციც არ მიდიოდა. ცხადია, რომ ეს ქარხნები სრულიად არაფრითა ჰგავს თანამედროვე ხასიათის ქარხნებს. წისქვილ-ქარხნები უმთავრესად შინაურ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იქმნებიან, მუშავდება იგი მცირე წყალის ძალით და მთელი ღირებულება ტიპიურ წისქვილისა ორმოც მანეთს არ აღემატება. რაც ვსთქვით გურიაზე, იგივე გვეთქმის ქვემო იმერეთზე და ქუთაისის გუბერნიის ყოველ მაზრაზე.

წისქვილებს გარდა მაზრებში ჩვენ ვხედავთ ხე-ტყის ქარხნებს ზუგდიდის, ოზურგეთის, შორაპნის და ქუთაისის მაზრაში. ხე-ტყის ქარხნები ყველაზე მსხვილი შორაპნის მაზრაშია, სულ სამი ქარხანაა, სადაც 33 კაცი მუშაობს, შემდეგ ზუგდიდსა და ოზურგეთში. აგურის ქარხნებში პირველი ალაგი მუშების სიმრავლით ქვემო იმერეთს უჭირავს, შემდეგ გურიას, მაგრამ ეს ქარხნებიც წისქვილისებური ქარხნებია, სადაც 2—3 მუშა მუშაობს. ხშირად სულ კარებ-მოეკეტილია და, როცა რაიმე შეკვეთას წააწყდებიან მაშინ ამუშავდებიან. სხვა ქარხნებში აღსანუსხავია მინერალური წყალის ქარხნები, ყინულის, საკირეები დ საკურმლე ქარხნები. მაგრამ ყველა ამათ ისეთი პირველ-ყოფილი ხასიათი აქვს, ისე ვიწრო ფარგალშია იგინი მოწყვდეულნი, ისეთი იარაღებით არიან შეიარაღებულნი, რომ უმჯობესია მათ შესახებ ენა ჩავიკმიდოთ.

ყველაზე უფრო ჩვენი ქარხნების ვინაობას სამრეწველო მოწმობები გვაგებინებს. მთელს ქუთაისის გუბერნიაში მეოთხე ხარისხის სამრეწველო მოწმობა ერთი გაუციათ ქუთაისის მაზრაში; მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე ხარისხისა კი წლიური და ნახევარი წლისა გაუციათ:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოზურ. მაზრაში | 9 | მოწმობა | 90 | მან. |
| სენაკის | „ | 29 | „ | 71 | „ |
| ზუგდიდის | „ | 6 | „ | 55 | „ |
| შორაპნის | „ | 31 | „ | 316 | „ |
| რაჭის | „ | 1 | „ | 2 | „ |
| ლეჩხუმის | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის | „ | 33 | „ | 261 | „ |

ამნაირად, მრეწველობის მხრივ პირველი ალაგი იმერეთს უკავია და შემდეგ გურიას. სამრეწველო მოწმობა სრულიად არ გაცემულა ლეჩხუმზე.

სამთამადნო მრეწველობა იმერეთში დიდ ძალას წარმოადგენს მხოლოდ ჭიათურის რაიონში. 1909 წელს ყველაზე მეტი შავი ქვა ამოუღიათ სოფელ მღვიმევში—15 მილიონი ფუთი, შემდეგ ზედა რგანში—7 მილიონამდე და შუქრუთში—5 მილიონი. შემდეგ აღსანუსხავია ტყიბულის რაიონი, სადაც 1909 წ. $2\frac{1}{2}$ მილ. ფუთი ქვა-ნახშირი ამოუღიათ მიწიდან. გურია-სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში სამთამადნო მრეწველობა სრულებით განუვითარებელია, თანამედროვე მნიშვნელობით სამთო მრეწველობა ამ მხარეებში სრულიად არ არსებობს.

რაც არის ჭიათურაშია, მაგრამ ქართველი მრეწველებს იქ მალე სრულიადაც აღარ ექნება ალაგი. ჩვენი ხალხის ჭიათურიდან გამოდევნა ისე თვალსაჩინოა, რომ ამ ფაქტს აშკარად და მკაფიოდ აღიარებს შავიქვის მრეწველთა საბჭო თავის სტატისტიკურის ანგარიშით. 1911 წელი—ამბობს სტატისტიკოსი შავი ქვის მრეწველთა საბჭოსი „ხასიათდება წვრილი მრეწველების შემცირებით, რომელნიც ერთიანად მკვიდრ ხალხს ეკუთვნოდნენ. როცა ამას ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს არა დროებითი მიტოვება იმათ მხრივ წარმოებისა, არამედ სრული ლიკვიდაცია, ანგარიშის გასწორება მარგანეცის საქმესთან, მადნიან ადგილების გაყიდვა მსხვილ უცხოელ კაპიტალისტებზე. 1910 წელში გერგერმანელების ერთმა ფირმამ დიდძალი მამული შეიძინა და მილიონი მანეთით დაიწყო საქმის წარმოება. საერთოდ, დაბეჯითებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ შორს აღარ არის ის დრო, როცა ყოველივე ძვირფასი შავი-ქვის საქმისა გადავა მსხვილ კაპიტალისტების ხელში. *)

და ეს ერთად-ერთი წარმოება იყო, სადაც ჩვენს მუშას იმედის დამყარება შეეძლო. შავ-ქვაზე სულ 1912 წელს მუშაობდა 2,212 მუშა-კაცი, 1905 წ.—5,085 კაცი, ხოლო 1911 წ მუშაობდა 2,072. მუშების რიცხვი შემცირდა, კაპიტალმა გარიყა მათი ძალ-შემოქმედება, თუმცა თითოეულ მუშის შრომა ისეთ პირობებში ჩააყენა, საიდანაც მას თანდათან მეტი მოგება რჩება. ასე, 1902 წ. მუშა კაცის დოვლათი უდრიდა 11,709 ფუთს, 1906 წ.—9.866 ფუთს, 1909 წ.—11,689 ფუთს, ხოლო 1911 წ.—13.819 ფუთს. (ტაб. № 20).

1909 წელს სავაჭრო და სამრეწველო საქმეებში მომუშავე ნოქრებზე გაცემული სამრეწველო მოწმობები უარიდა სხვადასხვა ხარისხის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებაში სხვადასხვა ხარისხის სანოქრო მოწმობა:

| | | | ჯარიმა მოწმობის შეუძლებლობის გამო |
|---|---|---|---|
| ქუთ. მაზ. | 24 მოწ. | 155 მ. | 867 მან |
| ოზურ. „ | 14 „ | 48 „ | 181 „ |
| სენაკის „ | 34 „ | 337 „ | 202 „ |
| ზუგდ. „ | 16 „ | 132 „ | 95 „ |
| შორაპ. „ | 20 „ | 376 „ | 3450 „ |
| რაჭის „ | — „ | — „ | 14 „ |
| ლეჩხუმ. „ | — „ | — „ | 83 „ |

ფრიად საგულისხმიეროა, ჩვენი ხალხი ვერ შერიგებია შრომის დაბეჟვის სისტემას და ამიტომ ჯარიმის სახით ხუთჯერ და ათჯერ მეტი თანხა შეაქვს ხაზინაში. საინტერესოა, რომ დაჯარიმებულთა რიცხვი მეტად ზემო და ქვემო იმერეთში მოდის, ყველაზე ნაკლები სენაკსა და ზუგდიდში.

რაც შეეხება ხელოსნებს, ჩვენში ხელოსნობა თანდათან ეცემა. კაპიტალისტურ ქვეყნების მეტოქეობა ხელოსნებისათვისაც მომაკვდინებელი შეიქნა და ამიტომაა, რომ მათი რიცხვიც კლებულობს და შემოქმედებითი ფარგალიც ვიწროვდება. სხვადასხვა სახელოსნოში მთელ ქუთაისის გუბერნიაში ირიცხებოდა ხელოსანი, ხელოსნის ხელქვეითი და მოწაფე:

1907 წ. 17.651
1908 წ. 17.654
1909 წ. 15.730

ყველაზე მეტი გუბერნიაში დურგლებია — 6,264 კაცი, შემდეგ მეწაღე — ხარაზები — 2.275 კაცი, მჭედლები — 1.417 კაცი, ქვის მთლელნი — 815 კაცი. ყველაზე ნაკლებია მხატვარნი — 21. მაზრებისა და ქალაქების მიხედვით ოქრომჭედლები, მესაათენი, მკერავ-თერძნი, მექუდეები, მეწაღეები, მღებავნი, დურგალნი, მჭედლები, მექვაბენი, დალაქნი და სხვადასხვა ხელოსანი მოდიოდა 1907 წელს:

| | | |
|---|---|---|
| ქალ. ქუთაისში | 2.506 | კაცი |
| „ ფოთში | 845 | „ |
| ქუთაის. მაზრაში | 3.274 | „ |
| შორაპნის „ | 2.869 | „ |
| რაჭის „ | 3.644 | „ |
| ლეჩხუმის „ | 535 | „ |
| სენაკის „ | 1.153 | „ |
| ზუგდიდის „ | 1.521 | „ |
| ოზურგეთის „ | 1.304 | „ |
| ქალაქებში „ | 3.351 | „ |
| მაზრებში „ | 14.300 | „ |
| გუბერნიაში „ | 17.651 | „ |

საგულისხმიეროა ისაა, რომ ყველაზე მეტად ხელოსნობას მისდევენ რაჭველები. როგორც ვიცით, რაჭაში მიწის სივიწროვე მეტად არის გამწვავებული, სოფლის მეურნეობა, ხვნა-თესვა მცირედათ სწარმოებს და ამიტომ რაჭველობა იძულებულია თავი ირჩინოს სხვა და სხვა ხელოსნობით. განსაკუთრებით ეტანებიან

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 958.

*) იხ. „Статистика марганцеваго дѣла за 1911 года“ გვ. XIII.

საუწყებათაშორისო თათბირს გადასცა.

თათბირმა სცნო, რომ თავად-აზნაურობის მოსაზრება არ ეთანხმება არც რუსეთის საადგილ-მამულო კანონმდებლობის პრაქტიკას და არც აღნიშნულ რეფორმის უმთავრეს მიზანს.

## სასოფლო-სამეურნეო საწყობი

მიმდინარე წელს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში აღიძრა საკითხი: დაარსოს ტფილისში მთელის კავკასიისათვის ცენტრალური სასოფლო სამეურნეო საწყობი. უმთავრესი მიზანი საწყობისა იქნება: შეიძინოს საუკეთესო თესლეულობა—მცენარენი, აგრეთვე გაუმჯობესებულ სისტემის სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები და ხელი შეუწყოს მათს გავრცელებას კავკასიის მცხოვრებთა შორის.

ეს საწყობი სულ ახალ დაწესებულებად არ უნდა ჩაითვალოს. იგი იქნება გაგრძელება საზოგადოების იმ საოპერაციო ბიუროს მოქმედებისა, რომელიც საზოგადოებასთან 1898 წლიდან არსებობს. რამდენად საჭიროა საწყობის დაარსება, ეს სჩანს თვით ბიუროს მოქმედებიდან: ბიურომ თავის არსებობის პირველ 5 წლიწადს (1898 წლიდან 1902 წლამდე) მცხოვრებლებზე გაჰყიდა 414,937 მან. 96 კაპეიკის სხვა და სხვა სამეურნეო იარაღი, მანქანა და მასალა ბაღებისათვის. 1902 წელს ბიუროს მოქმედება სხვა და სხვა დამაბრკოლებელ მიზეზის გამო შესწყდა, და 19 8 წელს განახლდა და დღესაც, მიუხედავად ნივთიერ ხელმოკლეობისა, კარგად ემსახურება თავის დანიშნულებას: სოფლის მეურნეთ შესაფერს დარიგებასა და დახმარებას უწევს სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და სხვა მასალის შეძენიში. რადგანაც ბიუროს მოქმედების გაძლიერება ბუნებრივად აუცილებელი გახდა, ამიტომ სამეურნეო საზოგადოებამ სასოფლო ეკონომიისა და სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის განყოფილებისაგან 5,000 მან. სესხი ითხოვა საწარმოო თანხის შესაქმნელად და სხვ. მიიღო სხვა ღონისძიებანიც.

ახლა, როდესაც ბიუროს მოქმედება მრავალ მხრივ შეზღუდულია და დღევანდელ სახით აღარ შეუძლიან მეურნეთა აუცილებელ საჭიროებათა დაკმაყოფილება, აღიძრა საკითხი დიდის ცენტრალურ საწყობის დაარსებისა თესლეულობის შემმოწმებელ სადგურით. საცგურს წინასწარ გამოანგარიშებით ერთდროულად 6,000 მან. ხარჯი დასჭირდება, 5600 მან. კი ყოველწლიური. საწარმოო თანხად 20—30 ათასი მანეთია საჭირო. საზოგადოებას აზრად აქვს. ამ ფულისთვის მიმართოს მიწად-მოქმედების დეპარტამენტსა და მეფის მაოდგილის კანცელარიის საერობო განყოფილებას.

## მუშათა ცხოვრება

### ბ ა ქ ო.

✦ გაფიცვა სამრეწველოთა დიდ ნაწილს მოედო. სულ გაფიცულია 13 ათასი მუშა. წესიერება დაცულია. გაიმართა ნავთის მრეწველთა კერძო თათბირი.

✦ 29 ივლისს, გაიფიცნენ შავსა და თეთრ ქალაქში „ძმ. ნობელებისა“ და სამრეწველოს მექანიკური ქარხანა სიმჟავეთა, ნავთისა და ზეთისა, ბენზინისა და კალა-ქვის განყოფილებების მუშები. სულ 1500 კაცზე მეტი. გაიფიცნენ აგრეთვე მუშები: „კასპიისა და შავი-ზღვის საზ.“, „კასპიის საზ.“ კრასილნიკოვის, ბალახანაში და სხვა წვრილ სამრეწველოებისა.

✦ გაიფიცნენ რისევის თუჯის ჩამოსასხმელ ქარხნის მუშები.

✦ მუშებისაგან არჩეულ წარმომადგენლებმა, რომელთაც ნავთის მრეწველთა საბჭოში მუშათა მოთხოვნილება უნდა დაიცვან, თათბირი გამართეს, რომელზედაც გამოირკვა, რომ ბალახანაში ყველა დიდ სამრეწველოში გაფიცვა არის. ბიბიეიბათელ მუშათა წარმომადგენლებმაც დაამოწმეს, რომ იქაც დიდი სამრეწველოები გაფიცულნი არიან, მხოლოდ ზუბალაშვილის სამრეწველოში მუშაობს 70 კაცი. თეთრ და შავ ქალაქშიაც ყველა დიდი სამრეწველოები გაფიცულია.

✦ 29 ივლის „სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობაში“ გოლოვაჩევმა, რომელიც სრულიად რუსეთის ნოქართა კრებაზე იყო წასული, მოხსენება წაიკითხა კრების შესახებ. მოხსენება იმავეს შეიცავდა რაც გაზეთებში იყო აღნიშნული. მომხსენებელმა სურვილი გამოსთქვა შემდეგი კრება უფრო უკეთეს პირობებში იქმნეს მოწვეული. გამგეობამ მოისმინა მოხსენება და დაადგინა: მოიწვიოს საზოგადოების საერთო კრება და გაიცნოს გოლოვიჩოვის მოხსენებას.

✦ 29 ივლისს ნავთის მრეწველთა საბჭომ იქონია სხდომა, რომელზედაც განიხილეს მუშათა საერთო მოთხოვნილება. თავმჯდომარემ მოახსენა საბჭოს, რომ 12 მუშამ გადასცეს მას მუშათა საერთო მოთხოვნილება და თავის თავი მუშათა წარმომადგენლებად გამაცვნესო. როგორც გადმოგვცემენ საბჭომ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: მუშათა მოთხოვნილებანი სამ რიგად განაწილდება:

პირველი: 1. დაუბრკოლებელი დღესასწაულობა პირველი მაისისა. 2. სამკურნალოების, ამბულატორიების დ. ს. (მრეწველის ფულით არსებული) უნდა გადაეცეს სამკურნალო კასას, რომლის გამგეობა და საერთო კრება მუშებისაგან უნდა შესდგებოდეს. 3. მეცადინეობა სკოლებში და კურსებზე (მუშათათვის) სამშობლო ენაზე სწარმოებდეს. 4. ყველა საკულტურო და განმანათლებელ დაწესებულებათა და აგრეთვე ამ დაწესებულების შესანახავ თანხის საპროფესიო კავშირებისათვის გადაცემა. 5. განთავისუფლება გაფიცვისათვის დაჭერილებისა დ. ს. შეიცავს იმ საკითხებს, რომელნიც საკანონმდებლო დაწესებულების ან და მთავრობის კომპეტენციას შეადგენს; მეორე: სამუშავო დღის ხანგრძლივობა, ქირა, ბინის ქირა, მუშაობიდან განთავისუფლება, სამრეწველოების შინაური საქმეების განგება შეადგენს საკითხს, რომელიც გადასწყდება მრეწველის და სამრეწველოში მომუშავეთა ურთიერთობით მესამე: სამრეწველო ოლქების კეთილ-მოწყობა დ. ს. რომელიც შეადგენს ნავთის მრეწველთა კომპეტენციის საგანს და ეს საკითხები მათი მომწიფებისა და მრეწველთა შეძლებისადაგვარად შემოტანილი არიან ნავთის მრეწველთა საერთო კრებებზე და გადაწყდებიან ნავთის მრეწველთა დებულების მიხედვით. ამის და მიხედვით საბჭომ დაადგინა: 29 ივლისს შემოტანილი „სამრეწველოებში მომუშავეთა საერთო მოთხოვნილებანი“ დასტოვონ განუხილველად.

### პეტერბურგი.

✦ 27 ივლისს სტრუკის ქარხნის მუშები შეიკრიბნენ სამკურნალოს კასის გამგეობის წევრთა ასარჩევად. კრების დაწყებისას მოვიდა პოლიცია, რომლის წარმომადგენელმაც განაცხადა, ქალაქის უფროსმა ნება არ დართო კრების გამართვისაო და შეკრებილი მუშები დაშალა.

✦ ნება არ დართეს აგრეთვე „სიმენ და გალსკეს“ ქარხნის მუშებს შეკრებისა და დაზღვევის საკითხზე მოლაპარაკებისთვის.

✦ ნება არ მისცეს სიმონოვის ქარხანაში გაემართათ ლექცია მუშათა დაზღვევის საკითხების შესახებ.

✦ 26 ივლისს განკევიჩის სატებნიკო კანტორაში მომუშავეებმა მოთხოვნილება წარუდგინეს კანტორას. კანტორამ მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა და ყველა მომუშავეთ ანგარიში გაუსწორა პოლიციის თანადასწრებით.

✦ რკინის მჭედელ ქარხანაში გაიფიცნენ შეგირდები, რის გამოც მთელ ქარხანაში მუშაობა შესწყდა. მოსცდა 800 კაცი. შეგირდები მოითხოვენ: ხელოსნები ზრდილობიანად მოეპყრან მათ, მოემატათ ჯამაგირი დაარსებული კანონის მიხედვით 13—15 წ. უმცირესთ ღამეობით ნუ ამუშავებენ. მთელი დღე ქარხანასთან პოლიციელთა რაზმი იდგა.

✦ გაიფიცნენ ობუხოვის ქარხნის საწრთობი განყოფილების მუშები,

✦ 27 ივლისს გაანთავისუფლეს პურის მცხობელთა საპროფესიო კავშირის საქმის მწარმოებელი საფრონოვი.

✦ მკერვალთა საპროფესიო კავშირი ჰმართავს ექსკურსიას საჰიგიენო გამოფენაზე. მიწვეული ჰყავთ სურათის გადამღებიც.

### მოსკოვი.

✦ ნება დაურთველია სერპუხოვის რაიონში ძაფის ნაწარმოებთა მუშების საპროფესიო კავშირი.

### ლოძი

✦ ძველ პირობებში დაიწყეს მუშაობა ლუიგეინერის ბამბის მანუფაქტურის სააქციონერო საზოგადოების ქარხნის 4.500 მუშებმა.

## რუსეთი

### თავ. მეშჩერსკი და 52 მეზღვაურთა საქმე.

გაზ. „გრაჟდანინის“ თავ. მეშჩერსკის სამართალში მიცემამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პეტერბურგში. თავ. მეშჩერსკის ბრალი ედება 52 მეზღვარ ჯარის კაცთა საქმის შესახებ წერილის დაბეჭდვის გამო. ამ წერილში გამორკვეულად იყო აღნიშნული დამცველ განყოფილების მოქმედება ამ საქმეში. „რუს. სლ.“ გაუგია ფრიად საიმედო წყაროებიდან, რომ აღძრულია საკითხი 47 მეზღვაურ ჯარის კაცთა უმაღლესად პატივებისა (5 უკვე ნაპატივებია). ჰფიქრობენ დასჯილთ სასჯელი სამსახურიდან დათხოვნაზე შეეცვლებათო. თუ ეს ასე მოხდა თავ. მეშჩერსკის სამართალში აღარ მისცემენ.

**მამებარ პოლიციელთათვის წესის შემოღება.**

პოლიციის საქმეთა დეპარტამენტს შეუმუშავებია ძმებარ პოლიციის მოხელეთათვის წესი. სხვათა შორის შემუშავებულია ძმებარ პოლიციის და პრესის წარმომადგენელთა ურთიერთობის წესი, იმ შემთხვევაში, ნათქვამია წესში, როდესაც ბოროტგანზრახვის გამოსარკვევად ან ბოროტ-განზრახველის აღმოჩენისათვის საჭიროა რაიმე ცნობა ან სურათები, ერთი სიტყვით ის რაც ბოროტგანზრახულებას შეეხება და საჭიროება მოითხოვს პრესის დახმარებას, მამებარ პოლიციის უფროსთ შეუძლიანთ მიჰმართონ პრესას მხოლოდ ბრალმდებლის ან გამომძიებელთა უწყების ნებართვით. მომხდარ ამბების შესახებ ცნობა, თუ ამბავში არ არსებობს ბოროტგანზრახულების ნიშანი, შეიძლება შეატყობინონ პრესას მხოლოდ უფროსის თანხმობით.

**ხულიგანი ექიმები.**

აგარაკ „პოგულიანკაში“ (დვინსკიდან 5 ვერსი) 22 ივლისს აუარებელ მოსეირნე მოაგარაკეთა თვალწინ შემდეგი აღმაშფოთებელი ამბავი მოხდა. ექიმები ლვოვი და სობოლევი მივიდნენ უცნობ კაცთან, რომელიც ბაღის კასის გვერდზე წყნარად იჯდა სკამზე. ლვოვი მას შეეკითხა:

— შენ „ჟიდ“ი ხარ?

— მე ებრაელი ვარ,—უპასუხა მან და ისევე განაგრძობდა ჯდომას.

— ადექ,—დაიღრიალა ლვოვმა.

— ხელები ჩაუშვი, (და შეაგინა).

— მე სამხედრო წესრიგი არ მისწავლია,—შენიშნა ახალგაზდამ.

— ეს აქ ურჩობას მიწევ. განა არ იცი, რომ ებრაელებს უნდა სცემონ...—ღ ლვოვმა მას რამდენიმე სილა გაარტყა. ნაცემი გაიქცა, მაგრამ გაბრაზებული ექიმი უკან დაედევნა, დაეწია მას, ხელიდან ჯოხი წაართვა და საბრალო მშიშარას თავში რამდენჯერმე დაარტყა.

სობოლევი თუმცა ცემში მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ შორიახლოს იდგა აქეზებდა თავის „კოლლეგას“.

ნაცემის ყვირილმა ბევრი ხალხი შეაგროვა, შემდეგ როგორც იქნა აქაური „წეს-რიგის“ მცველი ურიადნიკიც მოვიდა და შეეკითხა, თუ რა მოხდა:

ლვოვმა დამშვიდებულად უპასუხა:

— არაფერი, მინდოდა და გადიდგულებულ ებრაელსა ვცემე.

ალბათ საქმე ამით გათავდა, რადგან დვინსკის პოლიციის ნაწილში ოქმი აქამდე არ მოუტანიათ.

## ბალკანეთის მდგომარეობა

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

**31 ივლისი.**

**ვენა.** „ალბანიშე ცეიტუნგს“ ატყობინებენ, დრინასა და მითიეს შორის შეტაკება მოხდა ალბანელ ბრბოთა, რომელთაც ისა ბელატინაცი ხელმძღვანელობს, და სერბიელთა ჯარის შორის, როდესაც უკანასკნელი ალბანეთის საზღვარზე გადავიდნენ. ალბანელები გარს შემოერტყნენ სერბიელებიდან დაჭერილ ადგილებს და ამით უნდათ ხელი შეუშალონ მათ წინ სვლას.

**ვენა.** „ალბანიშე კორესპონდენტს“ ატყობინებენ სკუტარიდან, რომ ხოტიგრუდის ტომის უხუცესი გუოგულას მეთაურობით მივიდნენ ალბანელები უცხო ერთა საწარმომადგენლოში და პროტესტი უნდოდათ განეცხადებინათ მათი მიწაწყლის ნაწილის ჩერნოგორელებისათვის მინიჭების გამო. მეზღვაურთა უფროსმა ვიცე-ადმირალმა ბერნეიმ განუცხადა, რომ ლონდონში მიღებული გადაწყვეტილება უკანასკნელია; ამიტომ მალისორებს, რომელნიც არ მოისურვებენ დაემორჩილონ ჩერნოგორიას, შეუძლიანთ გავიდნენ ჩერნოგორელთათვის მიხიჭებულ მიწა-წყლიდან.

**ბუქარესტი.** საბერძნეთის წარმომადგენელმა პოლიტისმა უთხრა დეპ. პეტ. სააგ. კორესპონდენტს, რომ ბულგარეთის გაჯიუტებამ, საბერძნეთის სკოლებისა და ეკლესიის თავისუფლების აღიარების საკითხში, ვერაფერი მოაგებინეს ბულგარელებს ადრიანოპოლის დაბრუნებაში, [illegible] საბერძნეთის სკოლების და [illegible] სიის თავისუფლება ეღიარებინათ ბულგარელებს ახლად შეერთებულ მიწა-წყალში, მაშინ ჩვენ, ბულგარელების მოკავშირედ-ყოფილნი, ვაიძულებდით ოსმალეთს ადრიანოპოლის დაბრუნებას.

**ბერლინი.** ოფიციალად უარყოფილია ის ცნობა, ვითომც გერმანია დაეთანხმა ავსტრიას ბუქარესტის ხელ-შეკრულების ხელ-მეორედ განხილვის მოთხოვნაში, საქმის მცოდნე წყაროებიდან იტყობინებიან, გერმანია არც ედავება სხვა სახელმწიფოთ ხელ-შეკრულების გადახილვისათვის, არც ერევა ამ საკითხში სრულიად. გერმანია მიიღებს მონაწილეობას ისეთ მოლაპარაკებაში, რომელსაც მიზნად ექნება ევროპას მოაწონოს ეს ხელ-შეკრულება. გერმანია მტრულად არ არის განწყობილი ბულგარელებთან, მაგრამ, გერმანიის ფიქრით, ბულგარეთის ახალი სურვილების განხორციელება საფრთხილოა ევროპის მშვიდობიანობისათვის.

**სტამბოლი.** მთავრობამ გადასწყვიტა გამართოს ადრიანოპოლის მახლობლად ჯარის სამხედრო საცდელი ვარჯიშობა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 180 ათასი ჯარის კაცი. საქმის მცოდნე წყაროებიდან იტყობინებიან: ოსმალეთმა ყველა იმ სახელმწიფოებში, სადაც მაჰმადიანები სცხოვრობენ, ქაღაგები გაჰგზავნა მაჰმადიანთა შეერთების იდეის გასავრცელებლად. თუმცა ამბობენ, ეს ხმები იმიტომ არის გავრცელებული, რომ ოსმალეთს უნდა ამით დიდი სახელმწიფონი შეაშინოსო.

**სოფია.** დედათა მიტინგმა გამოიტანა დადგენილება, რომლითაც ბუქარესტის ხელშეკრულება გამომტყუებელ მოქმედებად არის აღიარებული. დასასრულ გამოთქმული არის თხოვნა დიდ სახელმწიფოთადმი, და სთხოვენ გადაათვალიერონ ბუქარესტის ხელშეკრულება და შეჰქმნან მტკიცე ნიადაგი ბალკანეთის მშვიდობიანობისათვის. სასურველად მიაჩნია მიტინგს დაინიშნოს ქალების მონაწილეობით გამოძიება, ბულგარეთის მტერთაგან ჩადენილი სისასტიკე და სიმხეცისა. სოფიის უნივერსიტეტის პროფესორებმა გამოაქვეყნეს პროტესტი ათინელ პროფესორების დეპეშის წინააღმდეგ. ათინელი პროფესორები ცილსა სწამებენ ბულგარეთის ერსა და ჯარსაო. ბულგარელი პროფესორები ირწმუნებიან, ფრაკიაში ჩადენილ სიმხეცეებისაგან უმეტეს შემთხვევაში ბულგარელები დაისაჯენ, რომელნიც სიცოცხლის გადასარჩენად ბულგარეთში მორბოდნენო. ეს მტკიცდება გამოქვეყნებულ ბულგარელების სიტყვებით და ბერძენ ჯარის კაცთა წერილებით, რომელნიც ბულგარელებს შემთხვევით ჩავარდნიათ ხელში. სოფიელი პროფესორები სთხოვენ უცხო ერების

---

ისინი მედურგლეობას. 1907 წ. მედურგლეთა რიცხვი უდრიდა 2.810 კაცს. რაჭველი მედურგლენი კი მთელს იმერეთში სახელგანთქმულნი არიან და ვერ ნახავთ იმერეთის ვერც ერთ გამოჩენილ კუთხეს, რომ რაჭველი დურგალი, მხერხავი არ ნახოთ. საერთოდ ათას სულში მამობრივ სქესისა ხელოსანთა რაოდენობა მოდიოდა:

| | | |
|---|---|---|
| ქუთაისის მაზრაში | 31 | ხელოსანი |
| შორაპნის „ | 32 | „ |
| რაჭის „ | 86 | „ |
| ლეჩხუმის „ | 14 | „ |
| სენაკის „ | 17 | „ |
| ზუგდიდის „ | 23 | „ |
| ოზურგეთის „ | 30 | „ |
| საშუალოდ „ | 33 | „ |

ამ რიგად ყველაზე მეტი ხელოსანი რაჭაშია, შემდეგ იმერეთში, გურიაში და ყველაზე ნაკლები ლეჩხუმში. მაგრამ ყველა ამას ჩვენი ხალხის ცხოვრებაში შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მთელი მხარის ფაბრიკა-ქარხნების შემოსავალი 1/2 მილიონ მანეთსაც არ შეადგენს, ხოლო მთელი სამთამადნო მრეწველობა ჰქმნის დაახლოვებით 2 1/8 მილიონ მანეთის ნაწარმოებს, და ეს იმ დროს, როცა სოფლის მეურნეობა, მარტო ხორბლეულობის კულტურა იძლევა დაახლოვებით 8 მილიონ ფუთს ხორბლეულს, რომლის ღირებულება აღემატება ხუთ მილიონ მანეთსა.

X

1907 წელს სხვა და სხვა ხორბლეულობას ეჭირა:

| წლები | ქუთაისის | შორაპნის | რაჭის | ლეჩხუმის | სენაკის | ზუგდიდის | ოზურგეთის | ყველგან |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ე ს ე ტ ი ნ ა | | | | | | | |
| 1907 წ. | 55,061 | 57,229 | 10,806 | 18,369 | 27,556 | 38,166 | 22,227 | 229,414 |
| 1908 „ | 56,145 | 74,520 | 13,322 | 17,735 | 27,143 | 39,708 | 15,113 | 243,686 |
| 1909 „ | 60,217 | 65,898 | 8,597 | 19,115 | 21,345 | 36,916 | 16,393 | 228,481 |

ასე რომ, უკანასკნელ 1909 წელს ხორბლეულობას ეჭირა მაზრებში მთელი ტერიტორიისა:

| | | |
|---|---|---|
| ქუთაისის მაზრაში | | 19% |
| შორაპნის | „ . | 23% |
| რაჭის | „ . | 3% |
| ლეჩხუმის | „ . | 4% |
| სენაკის | „ . | 7% |
| ზუგდიდის | „ . | 14% |
| ოზურგეთის | „ . | 8% |
| ყველგან | „ . | 9%. |

ამრიგად ტერიტორიის მეტი ნაწილი ხვნა-თესვას ზემო და ქვემო იმერეთში უჭირავს, შემდეგ ზუგდიდში, გურიაში და ყველაზე ნაკლები რაჭასა და ლეჩხუმში.

მაგრამ ამ ცნობით ჩვენ არ გაგვერკვევა ისა, თუ სად, რომელ მხარეში ხვნა-თესვას მეტი მნიშვნელობა აქვს, სად აქვს მას დიდი მნიშვნელობა. საამისოდ ჩვენ ავალაპარაკოთ სხვა ცნობები.

მთელს საიმერეთოში ყველაზე მეტად ეტანებიან სიმინდის კულტურას, შემდეგ შემოდგომაზე ნათესს პურს. რომ ვიცდეთ, სად როგორ ეტანებიან და რამდენი მოდის სიმინდიცა და პურიც, საჭიროდ მიმაჩნია წარმოვადგინო, რომ 1909 წელს მაგალითად, მოსულა:

ათასი ფუთობით. ათასი ფუთი.

| მაზრები: | | სიმინდი | პური | სიმ. და პური ერთად |
|---|---|---|---|---|
| ქუთ. მაზრაში | | 1,855,0 | 111,9 | 1.966,9 |
| შორაპნის | ,, | 836,2 | 240,9 | 1.077,1 |
| რაჭის | ,, | 120,0 | 93,8 | 213,8 |
| ლეჩხუმის | ,, | 479,0 | 254,3 | 733,3 |
| სენაკის | ,, | 412,3 | 1,3 | 413 6 |
| ზუგდიდის | ,, | 2 127,3 | 0,3 | 2.127,6 |
| ოზურგეთის | ,, | 1.165,9 | — | 1,165,9 |
| ყველგან . | | 6.995,7 | 702,5 | 7.698,2 |

როგორც ჰხედავთ, შემოდგომაზე ნათეს პურს დიდი ალაგი არ უჭირავს ხორბლეულობის კულტურაში. მთელი ხორბლეულობის მოსავალი აღნუსხულ წელს უდრიდა 8,234,444 ფუთს. რომ უკეთ წარმოვიდგინოთ, თუ ამ მოსავალში სხვა და სხვა ხორბლეულს რა ალაგი უჭირავს, მივმართოთ პროცენტებს. პროცენტებით დავინახავთ, რომ ამ 8.224.444 ფუთში მოდიოდა.

| | | |
|---|---|---|
| შემოდგომის პური | | 8,5% |
| გაზაფხულის | — | 1,6% |
| შვრია | — | 0,02% |
| ქერი | — | 3,7% |
| სიმინდი | — | 84,9% |
| ფეტვი | — | 0,1% |
| ღომი | — | 0,8% |
| ქვავი | — | 0,03% |
| უგრეხელა | — | 0,004% |
| ლობიო | — | 0,8% |
| ცერცვი | — | 0,06% |
| კარტოფილი | — | 0,09% |
| ყველა | — | 100% |

ამნაირად მთელი ხვნა-თესვის, ხორბლეულობის დედა ძარღვი ყოფილა მთელს იმერეთში სიმინდი, რომელიც მთელ ხორბლეულობის 84,9% უდრის. ამიტომ ჩვენც მეურნეობის ამ დარგს უნდა მივაქციოთ სათანადო ყურადღება.

ორთავე სქესის სულზე 1909 წლის მოსავლიდან მაგალ. მარტო სიმინდი და შემოდგომაზე ნათესი პური მოდიოდა:

| | | სიმინდი | სიმინდი და პური |
|---|---|---|---|
| | | ფ უ თ ი | |
| ქუთაის. მაზრ. | | 8,9 | 9,2 |
| შორაპ. | „ | 4,7 | 6,1 |
| რაჭის | „ | 1,4 | 2,5 |
| ლეჩხუმის | „ | 8,5 | 13,0 |
| სენაკის | „ | 3,1 | 3,1 |
| ზუგდიდის | „ | 16,9 | 16,9 |
| ოზურგეთის | „ | 12,2 | 12,2 |
| საშუალ. ყველ. | | 7,9 | 9,0 |

ამნაირად ყველაზე ნაკლები ხორბლეულობა რაჭაში მოდის, შემდეგ ცოტა მეტი სენაკში1), ყველაზე მეტი ზუგდიდში, შემდეგ გურიაში. იმერეთს საშუალო ალაგი უკავია.

თითო ქცევაზე და დათესილ ფუთზე მოდიოდა 1909 წელს:

| | 1 ქცევაზე | 1 ფ. თეს. სიმინ. |
|---|---|---|
| ქუთაის. მაზრ. | 30 ფ. | 13 ფ. |
| შორაპნის „ | 12 „ | 4 „ |
| რაჭის მაზრაში | 14 ფუთი | 5 ფუთი |
| ლეჩხუმის „ | 25 „ | 22 „ |
| სენაკის „ | 19 „ | 11 „ |
| ზუგდიდის „ | 58 „ | 19 „ |
| ოზურგეთის „ | 71 „ | 17 „ |
| საშუალოდ ყველ. | 32 „ | 13 „ |

ამ რიგად ყველაზე მეტ მოსავალს ქცევა საყანე მიწა იძლევა გურიაში, შემდეგ ზუგდ. მაზრაში. დათესილი სიმინდი ყველაზე ნაყოფიერი გამოდის ზუგდ. მაზრ., ლეჩხუმში და გურიაში. 1 ფუთს სიმინდზე მთელს ქუთაისის გუბერნიაში მოსავლიანობა უდრიდა:

| | | |
|---|---|---|
| 1898 წელს 1 ფუთზე | 15 | ფუთი. |
| 1899 „ „ | 13 | „ |
| 1900 „ „ | 19 | „ |
| 1901 „ „ | 10 | „ |
| 1902 „ „ | 13 | „ |
| 1905 „ „ | 13 | „ |
| 1907 „ „ | 10 | „ |
| 1908 „ „ | 16 | „ |
| 1909 „ „ | 12 | „ |
| საშუალოდ „ | 17 | „ |

უკანასკნელ სამ წელს ქცევაზე მოსულა სიმინდი:

| | მოსავალ 1 ქცევაზე. |
|---|---|
| 1907 წელს | 26 ფუთი |
| 1908 „ | 39 „ |
| 1909 „ | 31 „ |
| საშუალოდ | 32 „ |

1) ეს აიხსნება არაჩვეულებრივ მოუსავლობით 1907 წ. სენაკის მაზრაში მაგალ, სულზე მოდიოდა სიმინდი 5 ფუთზე მეტი.

საზოგადოდ, ამ უკანასკნელ ხანში მეურნეობაში ტეხნიკურმა პირობებმა ისე დაიმორჩილეს ბუნებრივი მოვლენანი, რომ მოსავალის რაოდენობას მეცნიერები პირდაპირ ხალხის კულტურულ-განმანათლებელ ვითარებას უკავშირებენ. გაუნათლებელი ხალხი დამორჩილებული ჰყავს სტიქიონს, ბუნებას. ამ ხალხზე მოსავალი ქარისა, სეტყვის და წვიმის საკითხია. განვითარებულ ხალხისათვის კი წვიმაც, სეტყვაც და ქარიც შედარებით უმნიშვნელო რამაა. ამიტომაა, რომ განათლებულ ქვეყნებში მას ერთნაირი ხასიათი აქვს, მოძრაობა უფრო მძიმედ სწარმოებს. ჩვენში კი მოსავალის საკითხი ბუნების საკითხია და ამიტომაა, რომ ჩვენი დოვლათი მეტად მცირეა. ყოველ შემთხვევაში საჭიროდ მიმაჩნია ავიღო რუსეთის ის გუბერნიები, რომელნიც სიმინდის კულტურას ეტანებიან, რომ მათთან შედარებით რამდენადმე წარმოვიდგინოთ ჩვენი თავიც. ასე, ერთ დესიატინაზე საშუალოდ მოდიოდა სიმინდი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბესარაბიის გუბერ. | 1 დეს. | | 100 | ფუთი |
| ხერსონის | „ | „ | 96 | „ |
| თავრიდის | „ | „ | 60 | „ |
| ეკატერინოსლავის | „ | „ | 90 | „ |
| დონის | „ | „ | 33 | „ |
| პოდოლის | „ | „ | 92 | „ |
| კიევის | „ | „ | 100 | „ |
| ხარკოვის | „ | „ | 90 | „ |
| პოლტავის | „ | „ | 102 | „ |
| საშუალოდ რუსეთში | | | 84 | „ |
| ყუბანის | „ | „ | 87 | „ |
| სტავროპოლის | „ | „ | 34 | „ |
| თერგის | „ | „ | 72 | „ |
| დაღესტანის | „ | „ | 56 | „ |
| ბაქოს | „ | „ | 52 | „ |
| ელისავეტპ. | „ | „ | 47 | „ |
| შავი ზღვის | „ | „ | 75 | „ |
| ყარსის | „ | „ | 55 | „ |
| საშუალოდ კავკასიაში | | | 60 | „ |
| ტფილისის | „ | „ | 55 | „ |
| ქუთაისის | „ | „ | 61 | „ |
| ბათომის | „ | „ | 90 | „ |
| საქართველოში | | „ | 68 | „ |

როგორც ვხედავთ, ამ საკმაოდ მოყვანილ ცნობიდან (ცნობები ამოღებულია „1911 годъ въ сельско-хозяйственномъ отношеніи по отвѣтамъ получен. отъ хозяевъ“ вып. VI 1912 г.) კავკასიაში საქართველოს პირველი ალაგი უკავია სიმინდის კულტურაში, ხოლო რუსეთს კი დიდად ჩამოუვარდება. ცხადია, რომ ვერავითარი მოწმობაა ჩვენს ერთ-ერთ სიმდიდრის წყაროში ჩვენი ასეთი ჩამორჩენა ისედაც ჩამორჩენილ რუსეთის გუბერნიებიდან. მაგრამ რა გაეწყობა!..

კიდევ უფრო სავალალოა ისაა, რომ რუსეთში ყოველი ხორბლეული უკანასკნელ წლებში მოდიოდა სულზე +20 ფუთი, ჩვენში კი ბლიუსს თავი რომ დავანებოთ ათი ფუთი სარჩოც ვერ მოგვიწევია. მდგომარეობა მართლა რომ კრიტიკულ-ტრაღიკულია. მაგრამ ვნახოთ, ეგებ ჩვენ ხორბლეულობის კულტურას თანდათან ვტოვებთ და გადავდივართ სხვა სამეურნეო-სამრეწველო დარგებზე—საიდანაც შემოგვდიოდეს მეტი ნივთიერი საშუალებანი სხვა და სხვა კერძო და საზოგადო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად!

სურათის სისრულისათვის შევეხოთ მეურნეობის სხვა დარგსაც.

(შემდეგი იქნება)

თ. ღლონტი.

პროფესორებს მხარი დაუჭირონ გამომძიებელ კომისიის მოწვევის საკითხს.

**ათინა.** უკანასკნელი ოფიციალური ცნობები ჰმოწმობენ ბერძნების, მაჰმადიანების და სხვა ერების საბერძნეთში გადმოსახლებას იმ მიწა-წყლებიდან, რომელნიც ბულგარეთს ერგო.

**სტამბოლი.** მსოფლიოს პატრიარქმა მოლაპარაკება გაჰმართა ავტოკეფალურ ეკლესიებთან მაკედონიაში ეპარქიის მიტროპოლიტისაგან დამოკიდებულების შესახებ.

**ბუქარესტი.** მეფე პეტრემ დეპეშა გამოუგზავნა მეფე კარლოსს: მივიღე ჩემ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისაგან ცნობა შესახებ ხელშეკრულების ხელის მოწერისა და ვჩქარობ გულწრფელი მადლობა ვუძღვნა თქვენს უდიდებულესობას ჩემი წარმომადგენლების გულღიად მიღებისათვის და თქვენი განათლებული და რუმინიის მთავრობის მოწადინებისათვის, რომ ზავი მალე ჩამოვარდნილიყო და ამით ბალკანეთზე თანაწონობა დამყარებულიყო. პირველმა ბუქარესტის ხელშეკრულებამ, სწორედ 100 წლის წინად ხელმოწერილმა, უზრუნველჰყო საერთაშორისო არსებობა სერბიისა, რომელიც განთავისუფლებულ იყო ჩემი პაპის და მისი ძმაგების მეოხებით ოსმალთა ბატონობისაგან. ეხლანდელი ხელშეკრულება, ვიმედოვნებ, დასაწყისი იქნება იმ მუშაობის ხანისა, რომელსაც მიზნად აქვს ჩვენი ხალხის კეთილდღეობა. სიამოვნებით ვიგონებ, რომ სერბია-რუმინიის ურთიერთობა მუდამ კეთილ მეზობლური განწყობილებით ხასიათდებოდა. ჩვენი ინტერესთა თანხმოება იმედს მაძლევს, რომ ეს ურთიერთობა მომავალში უფრო მჭიდრო და დაახლოვებული იქნება.

**პეტრე.**

ჩერნოგორიის მეფემ ნიკოლოზმა დეპეშა გამოუგზავნა კარლოსს: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ჩემი, წარმომადგენელი ბუქარესტის სამშვიდობო მოლაპარაკების კრებაზე მატყობინებს, რომ ზავი ბალკანელ სახელმწიფოთა შორის ეს არის ხელმოწერილია რუმინიის ლამაზ სატახტო ქალაქში, თქვენი უდიდებულესობის დახმარებით. ეს ზავი, მუდამ თქვენი უდიდებულესობის სახელთან დაკავშირებული, არის ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა ბალკანელ სახელმწიფოთათვის, იგი ჰქმნის კეთილცხოვრებისათვის ახალ ეპოქას, ბალკანელ ხალხთა ინტელექტუალურად და ეკონომიურად განვითარებისას. ბალკანელი ხალხი მუდამ ერთობით უნდა სცხოვრობდეს. გულით გილოცავთ, თქვენო უდიდებულესობავ, იშვიათ წარმატებას, რისთვისაც გიცხადებთ ჩემს გულწრფელობას **ნიკოლოზ.**

საბერძნეთის მეფის დეპეშა: სულით და გულით გმადლობთ, თქვენო უდიდებულესობავ, ზავის ჩამოგდების დეპეშით შეტყობინებისათვის. ჩემს დღეში ვერ დავივიწყებ თქვენს მოქმედებამ, ჩემდამი მომართულის, ამ სახელოვან და მძიმე დროის განმავლობაში. გიცხადებთ მხურვალე მადლობას ჩემი ხალხის განვითარების სურვილისათვის. მსხვერპლი, ჩვენგან შეწირული, დიდია, მაგრამ სახელი და მიხწეული მიზანი შეეფერება ამ მსხვერპლს. განსაკუთრებით ნასიამოვნები ვარ თქვენი უდიდებულესობისაგან მეგობრობის განცხადებით. ვჩქარობ გაუწყოთ, რომ ჩემ გულწრფელ და მხურვალე სურვილს შეადგენს ჩვენი ურთიერთობის გამჭიდროება და ამ მიზნის მისაღწევად დაუზოგავად ვიმუშავებ.

**კონსტანტინე.**

**სტამბოლი.** მსოფლიოს პატრიარქმა ინახულა სერბიის წარმომადგენელი პავლოვიჩი და ხანგრძლივ ელაპარაკა.

**ბელგრადი.** მეფე პეტრემ მიჰმართა ჯარს ბრძანებით: გმირნო! გუშინ ბუქარესტში ზავი ჩამოვარდა. ამ ზავით დაწესებულია ახალი საზღვარი სერბია-ბულგარეთის შორის, რომელიც შეიცავს გარდა ოსმალეთისაგან წართმეულ მიწა-წყალს, მაკედონიის მნიშვნელოვან ნაწილსაც, რომელშიაც შედის ეგრიპალანკა, კრატოვო, კოჩანა, იშტიბი, რადოვიშტი, პეხჩევო, ცარევოსელო და დოირანი, დოირანის ტბის დიდი ნაწილით. გმირნო! თქვენგან დანთხეული სისხლით, თქვენის გმირობით, თავგანწირულებით და სახელოვანი გამარჯვებით სერბიამ მიაღწია თავის საუკუნოებით მიჰსწრაფების განხორციელებას, მან შური იძია კოსოვოსათვის და წარიხოცა ჩირქი სლავიანცისა. თქვენ გაამართლეთ მსხვერპლი, ხალხისაგან თავის ნებით შეწირი ამ ომისათვის, თქვენ გაამართლეთ ჩემი იმედები და იმედები თქვენი მთავარ-სარდლისა. თქვენით სერბია შეიქმნა სახელოვანი და მთელი ქვეყნისაგან ცნობილი. თქვენ, ჩემო სახელოვანო და ღირსეულო ჯარო, ხართ შემქმნელნი დიდი სერბიის ახალი საზღვრებისა. გმირნო! მალე ჩემგან გამოცემული იქნება ბრძანება თქვენი დათხოვნის შესახებ. მაგრამ იმის მოხარული, რომ თქვენ დაუბრუნდებით თქვენვე კერას, ვსწუხვარ, რომ ბევრი ოჯახი ვეღარ იხილავს თავის ძვირფას გმირს, რომელნიც ბრძოლის ველზე დაწვნენ. საუკუნო დიდება გმირთ, ბრძოლის ველზე დახოცილთ! მათ დაანთხიეს სისხლი და დასდვეს სიცოცხლე სამშობლოს ბედნიერებისათვის. თქვენ, გმირნო, რომელნიც ცოცხალი დარჩით ასეთი ჰპანწყვეტის შემდეგ, რომელიც დაკავშირებული იყო ომთან, თქვენ, რომელთაც გადალახეთ ყოველივე დაბრკოლებანი, დაბრუნდით შინ და შეუდექით მშვიდობიან მუშაობას და განისვენეთ სახელოვანი მოღვაწეობის შემდეგ. გაუმარჯოს ჩემს სახელოვანს და უძლეველ ჯარს! **პეტრე.**

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**31 ივლისი.**

**უცხოეთი.**

**ლონდონი.** „ეკსჩენჯ-კომპანის“ ატყობინებენ, რომ დერიში ნაციონალისტები თავს დაეცნენ უნიონისტების პროცესს, რომელიც დღესასწაულობდა დერის განთავისუფლების 100 წ. თავს. პროცესიის მონაწილეებმა რევოლვერებით სროლა ასტეხეს. რამდენიმე პოლიციელი დაიჭრა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა: ოპოზიციის ბელადმა ლოუმ მიულოცა გრეის და უთხრა, რომ ევროპაში ომის დაწყების შიშმა გაიარა. ბეკსონი მიესალმა ცნობას, რომ ევროპის სახელმწიფოთა შორის სრული თანხმობაა ოსმალეთზე გავლენის შესახებო. სერ საიკსი შიშობს, რომ დიდი ამბავი ატყდება თუ ოსმალეთმა დაარღვია პირობა. ოსმალების გულ-წრფელ მეგობრებს სიგიჟეთ მიაჩნიათ ოსმალების წადილი—ადრიანოპოლის შენარჩუნება.

ბარლოუს თავმჯდომარეობით დაიხურა ექიმთა საერთაშორისო კრება. კრების დახურვის წინ ბერნსმა მოხსენება წაიკითხა შესახებ მედიცინის და საზოგადო ჯანმრთელობის კავშირისა და იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდა საექიმო მეცნიერება ლონდონში 1838 წ. უკანასკნელად მომხდარ კრების შემდეგ. ბერნსის მოხსენება რამოდენჯერმე შესწყვიტეს სუფრაჟისტმა ქალებმა, რომელნიც პოლიციამ ძალით გაიყვანა. ექიმთა საერთაშორისო შემდეგი კრება მოწვეულ იქნება მიუნჰენში 1917 წ.

**შანხაი.** ვუზუნის სამაგრეები მთავრობის ჯარს დამორჩილდა.

**რომი.** ტრამვაი და მეეტლეები მუშაობენ. მოხდა შეტაკება პოლიციელებთან, რომელთაც ხელი შეუშალეს ტრამვაის გაჩერების მოწადინეთ და მუშების მტვრეველთ. ცხენოსანმა ჯარმა რამდენჯერმე გარეკა შეგროვილი ხალხი. დაიჭირეს 150 კაცი. ხვალ გაფიცვა თავდება.

**მილანი.** რადგანაც 30 ივლისს გაფიცვა ფაქტიურად გათავდა, გაფიცვის მომწყობმა სინდიკატთა კავშირმა მოიწვია მიტინგი, რომელმაც გადასწყვიტა მიჰმართოს მილანის და ქალაქების მუშებს წინადადებით: დაიწყონ მუშაობა. ასეთმა გადაწყვეტილებამ ყველა წრეებში სრული კმაყოფილება გამოიწვია.

**მუკდენი.** დუდუს ნებართვით მოეწყო 1,000 „უშიშართაგან“ შემდგარი რაზმი, სამხრეთ-აღმოსავლეთ მონგოლეთში მეამბოხე მონგოლთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

**რომი.** მდინარე ტიბრზე აფეთქდა ზარბაზნების სასროლი მასალის საწყობი. მოკვდა 3 ჯარის კაცი.

**ტორეონ.** (მექსიკა) ოფიციალი ცნობით ალყა მოხსნილია. მოკლულია 3,200 მეამბოხე, მთავრობის ჯარმა დაჰკარგა 200 კაცი.

**რაბათი.** მეამბოხეებმა დილით მოჰკლეს მხედარი.

**სტამბოლი.** დილით მოვიდა მიერლოტი. საზეიმო შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ რამოდენიმე პრინცები, სულთანის ოჯახიდან.

**ლონდონი.** საფრანგეთის და იტალიის ელჩებმა განუცხადეს გრეის, რომ მათ მიიღეს თავიანთ მთავრობისაგან ბრძანება შეუერთდნენ გრეის მოსაზრებას შესახებ ეგეის ზღვაში მდებარე კუნძულებისა. ამის გამო საჭიროდ აღარ სცვნის ელჩთა კრების სხდომების გამართვა ვიდრე წვრილი კომისიები მუშაობას არ დაამთავრებენ ალბანეთის საკითხის გამოსარკვევად.

**რუსეთი**

**პეტერბურგი.** ბეჭვდითი საქმის კომიტეტმა დააკავა გაზ. „რაბოჩაია პრავდას“ № 16 და „ჟივაია ჟიზნის“ № 18.

**პეტერბურგი.** სენატმა უყურადღებოდ დასტოვა კიევის მაძებარ პოლიციის უფროსად ნამყოფის მიშჩუკის საჩივარი, რომელსაც ხარკოვის სამოსამართლო პალატისაგან მისჯილი აქვს ერთი წლის გამასწორებელი რაზმი, იუშჩინსკის მკვლელობის დამამტკიცებელ ნივთების სიყალბისათვის და ნაფიცი ვექილის გაიდამაროვის საჩივარი, რომელსაც მისჯილი აქვს პეტერბურგის საოლქო სასამართლოსაგან 6 თვის ციხე, ჩუდნოვის ბავშვის მოტაცებაში მონაწილეობისათვის.

**ოდესა.** მექარხნეებისაგან მოწვეულმა კრებამ ქვანახშირის სიცოტავის საკითხის განსახილველად სცნო, რომ ქვანახშირის სიცოტავე ძალიან შეაფერხებს სამხრეთ რუსეთის მრეწველობას. კრებამ საჭიროდ სცნო ქარხნების პატრონთა და მრეწველთა კრების მოწვევა და 15 მილიონი ქვანახშირის დამზადება.

დაიჭირეს ტამოჟნის ექსპედიტორი ინგოლეზისი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ტამოჟნაში მომხდარ დიდ ბოროტმოქმედებებში.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! თქვენ პატივცემულ გაზეთის მე-955 ნომერში ბ-ნი ჭირაქიძე აცხადებს, რომ შემოწირულება ტყიბულის მომავალ სამკითხველოს სასარგებლოდ მიიღება მასთან. ჩვენ, ტყიბულში სამკითხველოს გახსნის მზრუნველნი, საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ბ-ნ ჭარაქაძეს პირადად არ ვიცნობთ და არც შეგვეძლო მისთვის ამ გვარი რამ დაგვევალებინა. სამკითხველოს მზრუნველი კომიტეტი თავის დროზე დაასახელებს იმ პირს, რომლის სახელზედაც ყოველგვარი დახმარება დიდის მადლობით მიიღება.

მინდობილობით **ქრისტეფორე ანდრიაძე.**

# შემოწირულება

ტფილისის ფოსტის მოსამსახურეთა შორის მგოსნის ირ. ევდოშვილის სასარგებლოდ შეკრებილი:

ალექსიშვილი 70 კ., ათ-ათი შაური: №, №, №, მთვარე, კირტაძე, კანდელაკი, ნონიკაშვილი, ხრამელაშვილი, ბადრიევი, თეთრაძე, ეპიტაშვილი, თაქარაშვილი, ფიცხელაური, გვრიტიშვილი, Горшковъ, გიორგი, Семеновъ, Степановъ; ექვს-ექვსი შაური: გამცემლიძე, №, ჩილიადის, ბახუტაშვილი, მაღლაშვილი, თეთრაძე; ხუთ-ხუთი შაური: ბურდული, Галжіевъ, ქაშია; თითო-აბაზი: ლვინიაშვილი, დავიდოვი, ლოლაძე, მძინაროვი, Окуневичъ, Мельниковъ, Акопова, Колдѣевъ, ხვადაგაძე.

ბ. რედაქტორო! გიგზავნით 7 მ. 80 კ. გადასცეთ ავადმყოფ მგოსანს ირ. ევდოშვილს. სია შემომწირველთა: კუზმ. გიორგობიანი 1 მ., ვარლამ ბურჯანაძე 1 მ., ისიდ. დავითაშვილი, ანდრია კალანდარაშვილი, კ. №, გ. გორდელაძე, ტ. შუბლაძე, გრ. ლომინაძე, გ. დავითიძე, ტ. ფ., ვ. ნ. ზირაქიშვილი, მიხ. ზირაქიშვილი ათ-ათი შაური; გ. ხელაშვილი 30 კ., სიმ. ბურდული 30 კ., ნ. ჯარიაშვილი 20 კ., გ. ტაბლიაშვილი 20 კ., გ. ახმეტელაშვილი 30 კ. სულ 7 მან. და 80 კაპ.

კავკავი. **ვარლამ ა. ბურჯანაძე.**

ბატონო რედაქტორო! გიგზავნით ფულს, შეგროვილს სოფ. თიანეთში მგოსნის იროდიონ ევდოშვილის გადასაცემად. ამასთანავე გთხოვთ უახლოეს ნომერში თქვენი პატივცემულ გაზეთისა ჰთათავსოთ შემომწირველთა სია.

შემოსწირეს: ექიმ ნ. კლიმიაშვილმა 2 მ., ივ. ჩიბალაშვილმა 1 მ., მიხ. ძებნიაურმა 1 მ., ალ. ნამორაძემ 50 კ., სვ. ხუციევმა 1 მ., ვ. ჯიბლაძემ 50 კ., მღ. გრ. ჯინჭველაძემ 50 კ., დ. თაბორიძემ 1 მ., ვ. ვართანოვმა 50 კ., გრ. ვართანოვმა 50 კ., ი. და კ. გოჯიაშვილებმა 50 კ., თ. აბრამიშვილმა 50 კ., ვ. ცისკაროვმა 50 კ., ალ. სისაურმა 50 კ., ელ. აკოფოვმა 50 კ., ი. ბოძაშვილმა 60 კ., გოგნიაშვილმა 50 კ., ო. იორამოვისამ 50 კ., მ. თურქაძისამ 20 კ., გ. გელოვანმა 50 კ., დ. როსტომოვისამ 50 კ., ი. ღვინიაშვილმა 50 კ., გძელიშვილისამ 50 კ., დ. მგელიაშვილმა 20 კ., და № 50 კ. აქედან დაიხარჯა ფოსტის მარკისა 7 კ. და ფულის ბლანკისა მარკით 15 კ. აქედან გიგზავნით 15 მ. და 28 კ.

**სტ. ვახილი ჯიბლაძე.**

პატივცემულო რედაქტორო! გიგზავნით 4 მან. მგოსნის ირ. ევდოშვილის გადასაცემად. სულით და გულით მოვიწადინე მეტი შემეკრიბა, მაგრამ რადგანაც ვერ მოხერხდა, ეს ცოტა მაინც მიაწოდეთ ძვირფას მგოსანს იროდიონ ევდოშვილს. ამასთანავე გთხოვთ სია შემომწირველთა დაბეჭდოთ. იაგორ გოგიბერიძე 50 კ., ნესტორ ნოდია 50 კ. ა. კუტუხიძე 50 კ. კონსტანტინე ნოდია 50 კ., მარგარიტა ხარებავა 50 კ., ნინო მ—სა 50 კ., ბაბუა ნოდია 50 კ., ვარლამ ბერიძე 40 კ., გუსეინოვი 10 კ.

ქ. განჯა. **ნინო მირიანაშვილი ა.**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**


# მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადმზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** № 3. **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **ს. ჩქარი** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **საზ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**მცხეთაზე:** № 65, **საგარეუბ.** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4;3, **შუადღ.** 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათუმიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

# ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

# ექიმ ნავასარდიანის
## პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ავასართვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**კ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რიგვა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი-მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

**საბუღალტრო კურსები**

# გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა

ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 1416

**გამოსულია და იყიდება**

# ი. გედევანიშვილის პიესა „ბ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**თქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით**

# სამკურნალო ხრესილი აბანო

მეირთვასი მთის ჰაერზე

# ძმ. ულრულაძეების
## აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას

1385

# თ. ა. მთავრიშვილის
## წიგნის მაღაზია

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამა წლის 1913—1914 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს დიდ-ძალი

# სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,

რომელნიც კი იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშუალო სასწავლებელში. **ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

მსურველთ შეუძლიანთ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმისტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხვა, რასაც ძალიან დაკლებულ ფასად დაუყოვნებლივ მივაწვდით ბ-ნ **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან: **ადრესი:** ქუთაისი. ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიის სახლი, ბულვართან, **თ. მთავრიშვილი.** 1413

**გამოსულია და იყიდება**

# ნ. შიუკაშვილის პიესა „მეგობრობა“,

დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

# ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
**შემდეგი საყმაწვილო წიგნები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ნახატ. საყმაწ. მოთხრ. გამ. „ნაკად.“ | 30 კ. | უცხო თაიგული, | 10 „ |
| ორი ზღაპარი, ძმ. გრიმებისა | 10 „ | ქაჯანა, | 5 „ |
| ორი მხატვარი, თარგ. დ. ავალიანისა | 15 „ | ღვთის წყალობა, გ. წერეთლისა | 20 „ |
| ოქროს თავთავი, შ. მღვიმელისა | 15 „ | ყვავილთა შორის | 45 „ |
| ორი ზღაპარი, უილდისა | 5 „ | შალვას თავგადასავალი, | 15 „ |
| პაწია და ბუნგლია, | 25 „ | ცვარი, შ. მღვიმელისა | 20 „ |
| რობინზონ კრუზე, | 30 „ | ძუნწი და ნატვრა, მისივე | 10 „ |
| სკრუჯი და მარლეი, | 25 „ | წაღებიანი კატა, დასურათებული | 50 „ |
| სამი ცელქი, შ. მღვიმელისა | 15 „ | ხუმარა სპილოები, | 20 „ |
| სამი საყმ. ამბავი ვაჟა-ფშაველასი | 15 „ | ჯუზეპე გარიბალდი | 10 „ |
| საყმაწ. ლექსები, დ. თომაშვილისა | 10 „ | ჯიანეტა, პატარა მოქანდაკის დღიური | 30 „ |
| საკვირველი ხე, ვ. ბარნოვისა | 3 „ | პალიასტომის ტბა, ნინოშვილისა | 5 „ |
| სამშობლ. ბუნების სარკე, ი. ელიაშვილ. | 40 „ | გოგია უიშვილი, | 5 „ |
| სვიის გვირგვინი, | 15 „ | განკარგულება, | 5 „ |
| სამი მოთხრობა, ს. ყიფიანისა | 5 „ | იაგო, ნამ რა ქნა? | 5 „ |
| საბავშვო თეატრი, „ჯეჯილის“ გამ. | 10 „ | თავდადებულნი ქართველნი, | 7 „ |
| ტომის თავგადასავალი, | 50 „ | საყმაწ. მოთხრობანი, ეკ. გაბაშვილისა | 30 „ |
| | | ერეკლე მეფე და ინგილო ქალი, | 5 „ |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121.

# მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი

# ძმ. მეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 7:2.

ახალ-ახალი მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

ახალი მსხვილ-მარცვლოვანი

# ხიზილალა (ქიტკა)

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, ჭაპა, ზურგიელები, სხვა ყოველ-ნაირი თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა და

# კონსერვები.

# ფეხსაცმელები
## თომა დ ჯანყარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში, მუხრანის ქ. № 2.



ყოველნაირი: საკუთარი დ პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები. 527

# ქ. ტფილისში ვერის საქალაქო პარკთან

ყოველ დღე საღამოს 7—2 ს. ღამისა უკრავს სიმებიანი საკონცერტო ორკესტრი რომის კონსერვატორიის თავისუფალ ხელოვანის **ე. ფაუსტინის** ლოტბარობით. სკრიპკაზე დამკვრელის, სოლისტის **კონევსკის** და ვიოლონჩელზე დამკვრელის **სტეფანჩაკის** მონაწილეობით. 1409

**გაიხსნა პირველ-ხარისხოვანი**

# რესტორანი

**მიმოსვლა შეიძლება მიხეილის პრ.,** კრილოვისა და პასტერის ქ., ოლღას ქუჩის მხრით—ბრევნოვოზნი ქ. ვერის ხიდიდან—სადგური მტკვრის მარჯვენა მხარეზე.

გვაქვს საზღვარ-გარეთის და აქაური სასმელები და ყოველგვარი ცივი სასმელები, სამზარეულო აზიური და ევროპიული.

**ფასები ზომიერია.**

სამაგალითო გადასახედავი, სალი და გრილი ჰერი. განკერძოებული კაბინეტები. **ტელეფ. № 14—66.**

**გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის**

# „ხმა კახეთისა“-ზე

**გაზეთის ფასი ფოსტით გაგზავნით:** 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 1 მ. 80 კაპ., 1 თვით 40 კ. **სიღნაღში და სოფლებში:** 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 1 მ. 30 კ., 1 თვით 25 კ., ცალკე ნომერი ყველგან 3 კ. **გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. კანტორა** დროებით მოთავსებულია ქ. შ. წ.-კ. გამ. სიღნაღის განყ. **წიგნის მაღაზიაში.** გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებში: სიღნაღში გაზ. „ხმა კახეთის“ კანტორაში, სოფ. ველისციხეში ლ. ბერიაშვილის აფთიაქში, თელავში—ვანო პაატაშვილთან, გურჯაანში—ექ. დ. ჯავახიშვილთან, კარდენახში—კოლა დარაშვილთან, ვაქირში—მღ. ნ. ბარნაბიშვილთან, ბოდბისხევში—დ. ჩახნაშვილთან, ქვემო-მაჩხაანში—ალექს. ჯანყარაშვილთან, ბაკურციხეში—ორჯონიკიძეს მაღაზიაში, საქობოში—სიკო იაშვილთან, ხაქათალაში—ბლად. ბ. ფურცელაძესთან, ჯუგაანში—მღ. ი. შანშიაშვილთან. **გაზეთის დასაკვეთი ფასი და სხვა ანგარიშები უსათუოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს** Сигнахъ К. І. Ткавадзе. 1370


მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.